


CONSEIL  
DE L'EUROPE



COUNCIL  
OF EUROPE

COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME  
EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS

მესამე სექცია

## გეთიუ ნიღერლანდუბის ნინაალმღებ

(განაცხადი №: 24919/03)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი  
2005 წლის 29 სექტემბერი

ძალაში შესულია  
15/02/06

წინამდებარე გადაწყვეტილება ძალაში შედის ევროპული კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად. იგი შეიძლება დაექვემდებაროს რედაქციულ გადასინჯვას.

## საქმეზე მეთიუ ნიდერლანდების წინააღმდეგ,

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (მესამე სექცია) შემდეგი შემადგენლობით:

ბატონი ბ. ზუპანჯიჩი, პრეზიდენტი,  
ბატონი ჯ. პედიგანი,  
ბატონი კ. ბირსანი,  
ქალბატონი მ. ცაცა-ნიკოლოვსკა,  
ბატონი ვ. ზაგრებელსკი,  
ბატონი ე. მეიერი,  
ბატონი დავიდ ტორ ბიორგენსონი, მოსამართლეები,  
და ბატონი ვ. ბერგერი, სექციის რეგისტრატორი,

იმსჯელა რა განმარტოებით 2005 წლის 8 სექტემბერს, იმავე დღეს მიიღო წინამდებარე გადაწყვეტილება:

### პროცედურა

1. საქმე სათავეს იღებს განაცხადში (№ 24919/03) ნიდერლანდების სამეფოს წინააღმდეგ, რომელიც სასამართლოში შეტანილ იქნა ადამიანის უფლებათა და ფუნდამენტურ თავისუფლებათა ევროპული კონვენციის (კონვენცია) 34-ე მუხლის საფუძველზე, ნიდერლანდების მოქალაქის, ბატონი ელჟარდო ალექსანდერ ანტონიო მეთიუს მიერ (განმცხადებელი) 2003 წლის 5 აგვისტოს.

2. განმცხადებელი წარმოდგენილი იყო ბატონი ჯ. სერანესის მიერ, რომელიც მღვაწეობს მასტრიხტში. ნიდერლანდების მთავრობა (მთავრობა) წარმოდგენილი იყო წარმომადგენლებით: ბატონი რ. ა. ა. ბოკერი და ქალბატონი ჯ. შუკინგი, ნიდერლანდების საგარეო საქმეთა სამინისტროდან.

3. განმცხადებელი ამტკიცებდა, რომ პატიმრობის პირობები, რომელშიც იგი იმყოფებოდა, წარმოადგენს კონვენციის მე-3 მუხლის საწინააღმდეგო მოპერობას.

4. განაცხადი განსახილველად გადაეცა სასამართლოს მეორე სექციას (სასამართლოს რეგლამენტის 52.1. წესის შესაბამისად). საქმის განმხილველი პალატა დაკომპლექტდა 26.1. წესის შესაბამისად.

5. განმცხადებელმაც და მთავრობამაც წარმოადგინეს მიმოხილვები საქმის არსებით მხარესთან დაკავშირებით.

6. 2004 წლის 1 ნოემბერს სასამართლოში შეიცვალა სექციების შემადგენლობა (წესი 25.1.) და საქმე განსახილველად გადაეცა ახლად შექმნილ მესამე სექციას (წესი 52.1.).

7. 2005 წლის 1 ნოემბერს სასამართლომ გადაწყვიტა ერთად გადაეწყვიტა საქმის დაშვება და არსებითი მხარე კონვენციის 29.3. მუხლის შესაბამისად (წესი 54.3.).

8. განმცხადებელმა წარმოადგინა პრეტენზიები კონვენციის 41-ე მუხლის შესაბამისად, სამართლიანი დაკმაყოფილების შესახებ, სასამართლოს მიერ მოთხოვნის გარკვეულ ფაქტობრივ ინფორმაციასთან ერთად. თავის მხრივ, მთავრობის მიერ წარმოდგენილ იქნა შეპასუხება აღნიშნულ პრეტენზიებთან დაკავშირებით.

# ფაქტობრივი მხარე

## I. საქმის გარემოებაები

9. განმცხადებელი დაბადებულია 1973 წელს, რამდენადაც სასამართლოსათვის არის ცნობილი. მოცემული მომენტისათვის იგი ცხოვრობს პროვედენსში, როდ აირღენდი, შეერთებული შტატები

### ა. საქმის გარემოებები

10. განმცხადებელი, კინდობქსინგის მწვრთნელი, რომელსაც ასევე ჰქონდა ბიზნეს ინტერესები, დააკავეს არუბაში 2001 წლის 9 თებერვლს სხეულის მძიმე დაზიანების ბრალდებით. იგი წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა არუბას საპატიმრო დაწესებულებაში არუბა არის ნიდერლანდების კუნძული (იხ. §§125) იგი ეკუთვნის კარიის პოლანდიური ლივარდების კუნძულების კატეგორიას, სადაც არის ტროპიკული კლიმატი.

11. მთავრობა და განმცხადებელი არ ეთანხმებოდნენ ბევრ ფაქტს, რომელიც მოხდა პატიმრობის შემდეგ.

#### 1. განმცხადებლის ვერსიები

#### ა) განმცხადებლის პატიმრობა და სამედიცინო დახმარება

12. როგორც ირკვევა, 2001 წლის 16 ნოემბერს განმცხადებელს კონფლიქტი მოუვიდა ციხის ზედამხედველთან, რის გამოც იგი გადაყვანილ იქნა სადამსჯელო საკანში, სამართლო პატიმრობაში.

13. განმცხადებლის ჩვენების მიხედვით, 2001 წლის 17 ნოემბერს იგი ფარულად აწამეს ციხის თანამშრომლებმა. როგორც იგი აღნიშნავდა, მას თავზე ჩამოაცვეს ტომარა, რის შემდეგაც სცემეს. მოგვიანებით, განმცხადებელმა აღმოაჩინა, რომ თავისივე ხისხლის გუბებში იწვა და სხეული შარდით ჰქონდა დაფარული. მან ასევე განაცხადა, რომ 29 ნოემბრამდე არ ჰქონდა სუფთა პაერზე გამოსვლის შესაძლებლობა და მიუხედავად არაერთი თხოვნისა, არ მიუღია სამედიცინო დახმარება.

14. 2001 წლის 29 ნოემბერს ადგილი ჰქონდა ძალადობრივ ინციდენტს, რომლის დროსაც ციხის დირექტორი, ბ-ნი ვოკინგი, ფიზიკურად დაზარალდა. შემდგომში განმცხადებელს დამატებითი ბრალი წაუყენა ბ-ნი ვოკინგის სხეულის დაზიანებისათვის. განმცხადებელმა უარყო ვოკინგის ცემის ფაქტი. მისი ახნა-განმარტების მიხედვით, ვოკინგი საკანში შემოსვლისას გამოეღო ციხის ზედამხედველს, ბ-ნ ჯანგას და წაიქცა.

15. 2002 წლის 4 იანვარს ციხის ახალმა დირექტორმა, ბ-ნმა მადურომ, მოითხოვა განმცხადებლის განსაკუთრებულ რეჟიმში გადაყვანა. პატიმრობის დარჩენილი ნაწილი განმცხადებელს უნდა გაეტარებინა სპეციალურ საზედამხედველო საკანში, სადაც ის მარტო იმყოფებოდა. სპეციალური რეჟიმი ასევე ითვალისწინებდა შემდეგ პირობებს:

1. განმცხადებელს არ შეეძლო საკნის დატოვება ხელბორკილისა და ორი ზედამხედველის გარეშე;
2. მეთიუს ნებისმიერი გადაადგილება უნდა გაეკონტროლებინა სულ მცირე ციხის ორ თანამშრომელს;
3. სუფთა პაერზე გასეირნება შეიძლებოდა უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ნებართვით სპეციალურად ამისათვის განკუთვნილ ადგილას;
4. სატელეფონო საუბარი შეიძლებოდა განხორციელებულიყო ტელეფონის ნომრიდან – 120; იგი უნდა მიეტანათ ბ-ნი მეთიუს საკანში;
5. ვიზიტები, მათ შორის, დამცველთან, პრობაციის ოფიცერთან, სოციალურ მეშაკთან,

სამედიცინო პერსონალთან ან სუბიერ მსახურთან, შეძლებისდაგვარად, უნდა განხორციელდებულყო მეთიუს საკანში.

6. თემცა შესაძლოა აღნიშნული შეხვედრებისათვის გამოყოფილიყო სპეციალური ფართი,
7. ციხის უფროსი იტოვებდა უფლებას, გადაეხედა მე-ნ პუნქტისათვის.
8. ნათესაეებსა და ოჯახის წევრებთან შეხვედრა უნდა განხორციელდებულყო სპეციალურად ამისათვის განკუთვნილ ადგილას;
9. საკვებს მეთიუ იღებდა საკუთარ საკანში;
10. პატიმარს შეეძლო მიეღო ფოსტა, წიგნები, ქურნალები, მას შემდეგ, რაც ისინი შემოწმდებოდა.

16. 2002 წლის 20 თებერვალს განმცხადებლის იურისტებმა, ბ-ნებმა როსმა და როეერმა დაწერეს საჩივარი პასუხისმგებელი პროკურორის ქ-ნი ჰემეს ბუენდერის სახელზე საჩივარი აღწერდა განმცხადებლის მდგომარეობას. მასში იურისტები ასაბუთებდნენ, რომ 2001 წლის 29 ნოემბრის მოვლენები გამოწვეული იყო განმცხადებლის მოპყრობით იქვე აღწერილი იყო, რომ ციხის მაშინდელი დირექტორი, ბ-ნი ვოკინგი, განმცხადებლის საკანში შევიდა ციხის ორ ოფიცერთან, ჯანგასთან და ვან-დერ-ბიესენთან ერთად, რათა დაეკითხა მეთიუ იმ მუქარის თაობაზე, რომელიც მან ციხის თანამშრომლების მიმართ გამოავლინა. მას შემდეგ, რაც მეთიუმ უარი განაცხადა თანამშრომლობაზე, მას თავზე ჩამოაცვეს ტომარა. რის შემდეგაც იგი ხელკეტებით სცემეს. იატაკზე წოლისას მას ფეხებითაც სცემდნენ განმცხადებლის მიერ წამოყენებული სამედიცინო დახმარების მიღების მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. საკანში კონფლიქტის დროს ციხის დირექტორი ვოკინგი ბ-ნ ჯანგასთან შეჯახებისას იატაკზე დაეცა და დაზიანებები მიიღო სახის არეში. განმცხადებელი სახელდამხედველო საკანში დააკავეს, სადაც ის მისმა იურისტებმა ლოსმა და რომერმა მოინახულეს. აღნიშნულ საკანში იყო ყოველად მიუღებელი პირობები. საკნის იატაკი სახეზე იყო დამპალი საკვების ნარჩენებით იმის გათვალისწინებითაც კი, რომ განმცხადებელი იყო უხვეველოდ აგრესიული, სახელდამხედველო საკნის პირობები უტოლდებოდა არაადამიანურ მოპყრობას. იურისტებმა წამოაყენეს მოთხოვნა, გადაეყვანათ განმცხადებელი ისეთ საკანში, სადაც ნორმალური პირობები იქნებოდა. აღნიშნული წერილი გაუგზავნათ არუბას გუბერნატორს, იუსტიციის მინისტრს, გენერალურ პროკურორს, მართლმსაჯულების სასამართლოს. არუბას პარლამენტს, ბ-ნ ფარბი კელენს – ევროპის წამების საწინააღმდეგო კომიტეტის წევრს და სასჯელადსრულების დეპარტამენტის ადმინისტრაციას.

17. საჯარო ბრალმდებელმა – ქ-ნმა ჰომეს ბუენდერმა – აღნიშნულ საჩივარს უპასუხა 2002 წლის 27 თებერვალს. პასუხში ნათქვამი იყო, რომ საკითხი არც ისე მძიმე იყო, როგორც ამას იურისტები აღნიშნავენ. ციხე გარემონტებული იყო, ხოლო სიბინძურე საკანში გამოწვეული იყო იმით, რომ განმცხადებელი უარს ამბობდა საკნის დალაგებაზე პროკურორმა ასევე აღნიშნა, რომ მიიღებდნენ ზომებს საკანში ვენტილაციის გასაუმჯობესებლად

18. 2002 წლის 26 ივნისს განმცხადებელს ჩაუტარდა მაგნიტური სკანირება ექიმ ლუს და ექიმ-რენტგენოლოგ პორაციოს მიერ არუბას დედაქალაქ ორანჯესტადში სამედიცინო დასკვნაში აღნიშნული იყო ხერხემლის მეხუთე დისკის დეგენერაცია და ნერვის ფესვის კომპრესია.

19. 2002 წლის 8 აგვისტოს ექიმ ლამბერტინას მიერ საავადმყოფოში ნატარებული რენტგენული გამოკვლევის შედეგად დადასტურდა იგივე დიაგნოზი.

20. 2002 წლის 10 სექტემბერს საავადმყოფოს ნევროლოგმა ექიმმა ვალეჯო ლოპესმა გააკეთა ჩანაწერი, რომლის მიხედვითაც განმცხადებელს აწეხებდა დისკოზი და დაუნიშნა აქტიური ფიზიოთერაპია.

21. 2003 წლის 13 თებერვალს ციხის ეზოში მოხდა ძალადობრივი კონფლიქტი, რომლის შედეგადაც განმცხადებელმა მიიღო ფიზიკური დაზიანებები. ექიმების, პერეზისა და რუდის

მიერ იმავე დღეს გააკეთებული სამედიცინო ცნობის თანახმად, განმცხადებელი დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას. ცნობის თანახმად, მეტიუ მიწასუ მწლიარე, თავის არეში დაზიანებებით იპოვეს იგი დახმარებას ითხოვდა

22. 2003 წლის 13 თებერვალს განმცხადებლის მეუღლემ - არიანა იანუჩილიმ - არუბას პოლიციის სახელზე დაწერა ოფიციალური საჩივარი, რომელშიც აღნიშნავდა, რომ მისმა მეუღლემ ციხის პერსონალის მხრიდან მიიღო სხეულის დაზიანება.

23. 2003 წლის აპრილის ან მაისის გაურკვეველ თარიღს განმცხადებელი მთინასულა ექიმმა-ნევროლოგმა ვალეუო ღოპესმა.

24. 2003 წლის 21 მაისს ექიმმა ღოპესმა განმცხადებელს საუტარა გამოკვლევა. განმცხადებელს ექიმმა დაუნიშნა ინტენსიური ფიზიოთერაპია და ძლიერი გამაყენებლები. 2003 წლის 22 მაისს ექიმმა ღოპესმა ხელი მიაწერა ცნობას, რომლის მიხედვითაც განმცხადებელს უნდა გაეგლო ფიზიოთერაპიის კურსი.

25. 2003 წლის 23 მაისს განმცხადებელი საავადმყოფოში გადაიყვანეს.

26. იმავე დღეს განმცხადებელი გამოიკვლია ექიმმა რენტგენოლოგმა სტოქანოვმა დასკვნაში დაფიქსირდა დისკოზი.

27. მეორე სამედიცინო დასკვნაში, რომელიც იმავე დღით იყო დათარიღებული და რომლის ავტორიც უცნობია, აღნიშნული იყო, რომ მეტიუსი დაექვემდებარა ცემას.

28. 2003 წლის 5 ივნისს ექიმმა ღოპესმა ციხის ადმინისტრაციას მისწერა წერილი, რომელშიც ითხოვდა განმცხადებლისათვის მიუკვთ მკურნალობის საავადმყოფოში გავლის უფლება.

29. 2003 წლის 26 ივნისს ექიმმა ღოპესმა სოციალურ მუშაკს მისწერა წერილი, რომლითაც ის ითხოვდა, რომ განმცხადებელს მისცემოდა საშუალება კვირაში ორჯერ მაინც გამოცხადებულყო საავადმყოფოში. 13 ივნისს მაიორმა ტრომფმა ექიმ ღოპესს უპასუხა. წერილში ნათქვამი იყო, რომ ციხის ადმინისტრაცია მიიღებდა ყველა საჭირო ზომას, რათა მეტიუსს გაეგლო მკურნალობის კურსი.

30. 2003 წლის 13 ივნისს განმცხადებელი გათავისუფლდა საავადმყოფოდან დისკოზის დიაგნოზით, რომელიც დაუსვა ექიმმა ღოპესმა. იგი წერდა, რომ მკურნალობა შესაძლოა განხორციელებულიყო როგორც ფიზიოთერაპიის, ასევე ქირურგიული ჩარევის გზით.

31. იმავე დღეს ციხის დირექტორმა მადურომ საავადმყოფოში გააგზავნა წერილი, რომლითაც იგი საავადმყოფოს ადმინისტრაციას აუწყებდა, რომ ყველა ზომა იქნებოდა მიღებული, რათა განმცხადებელი კვირაში ორჯერ გადაყვანილიყო საავადმყოფოში.

32. მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ განმცხადებელი კვირაში ორჯერ სამკურნალოდ გადავიდოდა ოფებერის სახელობის საავადმყოფოში.

33. 2003 წლის 23 ივნისს ექიმებმა როდრიგესმა და პერესმა საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტიდან ციხის დირექტორს მისწერეს წერილი, რომლითაც ურჩევდნენ, რომ განმცხადებლისათვის გამოეყოთ ინვალიდის სავარძელი.

34. 2003 წლის 23 ივნისს ციხის უფროსმა ზედამხედველმა, ციხის დირექტორის სახელით, განმცხადებელს დაუნიშნა 28-დღიანი დისციპლინური სასჯელი, სპეციალური შეზღუდული რეჟიმის სახით. ამ პერიოდში განმცხადებელს არ პქონდა სატელეფონო ზარის განხორციელებისა და მნახველთა მიღების უფლება. როგორც ციხის ადმინისტრაცია აცხადებდა, განმცხადებელი თავს დასხა ციხის თანამშრომლებს. ის სხვა პატიმრებსაც მოუწოდებდა ძალადობისაკენ

35. იმავე დღეს სხვა პატიმარმა, სახელად ივანისო, დაწერა საჩივარი არუბას ოქსტიციის მინისტრის, დედოფლის, პროკურატურისა და წამების საწინააღმდეგო კომიტეტის სახელზე საჩივარი ეხებოდა იმავე დღეს მომხდარ ინციდენტს ინციდენტი გამოიწვია ციხის ადმინისტრაციის უარმა, ეწვევინათ ივანისოსთვის დოკუმენტები, რომლებშიც დასაბუთებული იყო მისი პატიმრობის ვახანგრძლივება. როდესაც ივანისომ მოითხოვა საბუთების ნახვა, ციხის თანამშრომლებმა მას ცემა დაუწყეს. აღნიშნული ფაქტის თვითმხილველი შემთხვევით გახდა მეთიუსი, რომელმაც ციხის თანამშრომლებს ხოსოვა განუცხადებულა განმცხადებელი თავს არავის დასხმია. მან საკუთარი ყავარჯნებით სცადა ივანისოს დაცვა ციხის ზედამხედველის თაყდასხმისაგან. საჩივარს ხელს აწერდა ათი პატიმარი, განმცხადებლის ჩათვლით

36. 2003 წლის 26 ივნისს განმცხადებლის მეგობარმა პატიმარმა, ვან-დერ-ბიზერმა, დაწერა წერილი, რომელიც აღწერდა საპატიმროში განხილ ხანძარს, რომლის შემდეგაც ციხის თანამშრომლებმა სცემეს პატიმრებს

37. 2003 წლის 1 ივლისს ექიმმა როდრიგეს რობელტმა გამოიკვლია განმცხადებელი დასკვნაში აღნიშნა კანის გაღიზიანება იმ ადგილებში, სადაც განმცხადებელს ხელობრივი ედო. ექიმმა ასევე აღნიშნა ტკივილი ქვედა კიდურების მოძრაობისას. დიაგნოზის სახით მან განმცხადებელს ინტენსიური ფიზიოთერაპია დაუნიშნა.

38. 2003 წლის 3 ივლისს ციხის დირექტორის ბადუროს მიერ განმცხადებელს დაენიშნა სპეციალური დისციპლინური რეჟიმი 28-დღიან იზოლაციას დაემატა 14 დღე. ციხის ადმინისტრაციის განცხადებით, განმცხადებელი განზრახ ახდენდა სხვა პატიმრების პროვოცირებას, რათა ისინი თავს დასხმოდნენ ციხის პერსონალს ახალი დისციპლინური სასჯელის ათვლა უნდა დაწვებულიყო 2003 წლის 21 ივლისს.

39. 2003 წლის 4 ივლისს ვან-დერ-ბიზერმა ხელი მოაწერა განცხადებას, რომელშიც აღნიშნული იყო, რომ ციხის ადმინისტრაციამ ხელმოწერა შეთხზა ბრალდება განმცხადებლის წინააღმდეგ.

40. იმავე დღეს ექიმმა ლოპესმა ხელი მოაწერა სამედიცინო დასკვნას, რომლის მიხედვითაც ბ-ნ ალექსანდერ მეთიუსს აწუხებდა წელის ტკივილი და საჭიროებდა ფიზიოთერაპიას. ექიმმა ასევე აღნიშნა, რომ სრული რეაბილიტაცია მხოლოდ ფიზიოთერაპიის გზით შეიძლება ვერ მიღწეულიყო. იმავე წერილით ლოპესმა ისურვა, რომ მეთიუ სხვა ნევროლოგსაც შემოწმებინა. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ არუბას ჰყავდა მხოლოდ ერთი ნევროლოგი, საჭირო იყო უცხოელი ნევროლოგის ჩამოყვანა. ცნობაში აღნიშნული იყო, რომ მეორე ნევროლოგის მიერ მეთიუსს შემოწმება აუცილებლობას წარმოადგენდა. ცნობა ხელმოწერილია ვალდეო ლოპესის მიერ.

41. 2003 წლის 5 ივლისს პატიმარმა, სახელად პასენი, ხელი მოაწერა წერილს, რომლის მიხედვითაც საპატიმროში ხანძარი განხდა განმცხადებლის საკნის ახლოს. პასენი სხვა პატიმარს ადანაშაულებდა, თუმცა მის სახელს არ ასახელებდა. წერილში ნათქვამი იყო, რომ მას შემდეგ, რაც ციხის თანამშრომლები შემოვიდნენ, მათ დაიწყეს განმცხადებლის ცემა. განმცხადებელს დაადეს ხელობრივი ედო. მას სცემდნენ და ელექტროშოკით აწამებდნენ. წერილი თარიღდება 6 ივლისით. იმავე პატიმრის მიერ დაწერილ მეორე წერილში, რომელიც 7 ივლისით თარიღდება, ზედამხედველი მური განმცხადებელს მოკვლით დაემუქრა მას შემდეგ, რაც მეთიუსმა წამალი მოითხოვა. პასენს არ შეუძლია ზუსტად აღიღვინოს თარიღი. თუ როდის მოხდა აღნიშნული ფაქტი.

42. 2003 წლის 7 ივლისს იურისტმა დავიდ კოხმა ციხის დირექტორს წერილი მისწერა, რომელშიც იგი ასაჩივრებდა საზედამხედველო საკანში განმცხადებლის დაკავებას არგუმენტად იურისტს მოჰყავდა მართლმსაჯულების სასამართლოს 2003 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, სასამართლომ პატიმრობის პირობები მიუღებლად მიიჩნია და მოითხოვა განმცხადებლის გადაყვანა უკეთეს პირობებში.

43. 2003 წლის 18 ოქტომბერს ქ-ნმა იანუხილიძე ციხის დირექტორს მისწერა წერილი, რომელშიც იგი ითხოვდა, რომ მეთიუსი გაძიეკელის მის მიერ არჩეულ ექიმს, ექიმის სარჯებს იანუხილიძე საკუთარ თავზე იღებდა.

44. 2003 წლის 20 ოქტომბერს ქ-ნმა იანუხილიძე არუბას ციხიდან მიიღო ფაქსი, რომელშიც აღნიშნული იყო შემდეგი: „ქ-ნი იანუხილიძე, თქვენი მეუღლე შეიძლება მოინახულოს ნებისმიერმა ექიმმა, მისი არჩევანის შესაბამისად, თუ ეს ექიმი რეგისტრირებულია არუბას კანონმდებლობის თანახმად. არაერთი სამედიცინო დასკვნის თანახმად, ელუარდოს არ სჭირდება ოპერაცია მას სიაკაზობენ მკურნალობას, რის მიღებაზეც იგი უარს აცხადებს. ჩვენ გვინდა განვმარტოთ, რომ თუ ელუარდო უარს განაცხადებს მკურნალობაზე, მას ძალით ვერ უმკურნალებენ პარტივის(ე)მით, ა. უ. მაღურო, ციხის დირექტორი“.

45. 2003 წლის 23 ოქტომბერს ქ-ნმა იანუხილიძე მისწერა არუბას გუბერნატორს წერილი, რომლითაც იგი ითხოვდა განმცხადებლის საზედამხედველო საკნიდან დაუყოვნებლივ გადაეყვანას და უცხოეთიდან ჩამოეყვანილი ექიმის მიერ მის შემოწმებას.

46. 2003 წლის 25 ნოემბერს ექიმებმა პერესმა და რობელტმა სახელმწიფოებრივი დეპარტამენტის ადმინისტრაციას მისწერეს წერილი, რომლითაც იტყობინებოდნენ, რომ განმცხადებელს მისი ფიზიკური მდგომარეობის გამო უჭირდა ფიზიოთერაპიის კურსებზე დასწრება.

47. 2004 წლის 5 იანვარს განმცხადებელმა კიდევ ერთხელ მისწერა ციხის დირექტორ მაღუროს. საჩივარში მეთიუ აღნიშნავდა, რომ მიუხედავად არაერთი თხოვნისა, მას არ ჰქონდა ინვალიდის სავარძელი, რის გამოც უჭირდა მნახველებთან შესახვედრად კიბეზე ჩასვლა. წერილში მეთიუ აღნიშნავდა, რომ ტკივილი იმდენად ძლიერი იყო, რომ 15-წუთიანი ვიზიტისას მას ჯდომაც კი უჭირდა.

48. 2004 წლის 27 იანვარს განმცხადებელს აცნობეს, რომ მასზე არ გავრცელდებოდა პირობით ვადაზე ადრე განთავისუფლება. აღნიშნა ისიც, რომ მეთიუს ეს შეტყობინება წერილობით არ მიუღია.

## **ბ) საჩივრების პროცედურა**

49. 2001 წლის 19 ნოემბერს მეთიუმ საჩივარი დაწერა საზედამხედველო საბჭოს სახელზე, რომელშიც აღნიშნავდა, რომ ბ-ნმა ვოკინგმა მისი სამართლო პატიმრობის შესახებ ბრძანება გასცა გაუგებრობის საფუძველზე ისე, რომ მისი ახრი არც კი მოუსმენია. მეთიუს აიძულებდნენ, საკუთარ იურისტს საკანში შიშველ მდგომარეობაში შეხვედროდა. მეთიუ ასევე აღნიშნავდა, რომ იგი აწამეს 17 ნოემბერს.

50. 2002 წლის 5 სექტემბერს განმცხადებელმა მისი ადვოკატის მეშვეობით დაწერა საჩივარი საზედამხედველო საბჭოს სახელზე საჩივარი ესებოდა 2002 წლის 4 იანვარს მისთვის მისჯილ რეჟიმს და პატიმრობის პირობებს. დაპირება აღნიშნულის გამოსწორების თაობაზე არ შესრულდა.

51. 2002 წლის 7 ოქტომბერს მეთიუმ ოქრისტის მეშვეობით დაწერა კიდევ ერთი საჩივარი, რომელშიც აღნიშნავდა, რომ მისი საკნის სახურავი შეკეთდა, თუმცა ყველა სხვა მოთხოვნა ძალაში რჩებოდა. მას არ ჰქონდა სუფთა ჰაერზე გასვლისა და ფიზიოთერაპიის კურსის ჩატარების შესაძლებლობა.

52. 2002 წლის 30 ოქტომბერს განმცხადებელმა თავად მისწერა ქ-ნ ანგელას – სახელმწიფოებრივი დეპარტამენტის საზედამხედველო საბჭოს თავმჯდომარეს. წერილში მეთიუ აღნიშნავდა, რომ საჯარო ბრალმდებლის, ქ-ნი ჰემეს ბოენდერის მიერ 2002 წლის 27 თებერვალს მის მიმართ მიწერილ წერილში გამოთქმული დაპირებების მიუხედავად, მისი მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. 2002 წლის 14 ივნისიდან მას არ ჰქონია სუფთა

ჰაერზე გასვლის შესაძლებლობა, რადგანაც ციხის თანამშრომლები უარს აცხადებდნენ მის ინველიდის სავარძლის კიბეებზე ჩატანაზე. ფიზიოთერაპიაზე უარი უთხრა თავად დეპარტამენტის ადმინისტრაციამ, რომელსაც არ უნდოდა ზედმეტი თავსატეხი გაეჩინა მეთიუს საავადმყოფოში ტრანსპორტირებით. ამასთან, კენტილაციის არარსებობა იწვევდა თავის ტკივილებს.

## 2. მთავრობის პოზიცია

### ა) განმცხადებლის დაკავება და პატიმრობა

53. 2001 წლის 19 აგვისტოს საზოგადოებრივი ბრალმდებლის მიერ წაყენებული ბრალდების საფუძველზე განმცხადებელი დაკავებულ იქნა ყოფილი თანამშრომლის მიმართ ჩადენილი ბრალის გამო. იგი ჯერ პოლიციის დროებითი დაკავების იზოლატორში გადაიყვანეს, ხოლო შემდეგ წინასაპატიმრო იზოლატორში, სადაც იგი იმყოფებოდა 2001 წლის 4 ოქტომბერს მის გათავისუფლებამდე.

54. 2001 წლის 9 ოქტომბერს განმცხადებელი თავიდან იქნა დაკავებული იარაღით სხეულის მიძიმე დაზიანების ბრალდებით.

55. 2001 წლის 15 ოქტომბერს ციხის თანამშრომლებმა განმცხადებელი საავადმყოფოში გადაიყვანეს მუცლის ტკივილების გამო. განმცხადებელი მომდევნო დღეს გაიპარა საავადმყოფოდან, თუმცა იმავე დღეს დაბრუნდა ციხეში საკუთარ აღვოკატთან ერთად. აღნიშნული ქმედებისათვის მას მიესაჯა 14-დღიანი სამარტო პატიმრობა.

56. მთავრობამ წარმოადგინა ციხის ოფიცრის მოხსენება, რომლის მიხედვითაც 2001 წლის 25 ოქტომბერს განმცხადებელმა უარი თქვა სამარტო საპატიმროში დაბრუნებაზე სუფთა ჰაერზე გასეირნების შემდეგ. შედეგად, იგი დაბრუნებულ იქნა საკანში რამდენიმე ზედამხედველის მიერ.

57. ციხის თანამშრომლის მეორე მოხსენება, რომელიც დათარიღებული იყო 2001 წლის 12 ნოემბრით აღწერდა იმავე შემთხვევას.

58. 2001 წლის 16 ნოემბერს განმცხადებელმა და მისმა რამდენიმე მეგობარმა პატიმარმა უარი განაცხადეს საკანში დაბრუნებაზე. მათ გაანადგურეს გამყოფი კედელი, რომლის ნაწილებიც იარაღად გამოიყენეს. ციხის დირექტორი ბ-ნი ვოკინგი იძულებული გახდა განმცხადებელი 7 დღით მოეთავსებინა სამარტო საკანში. განმცხადებელს ასევე შეუზღუდეს სატელეფონო კავშირით სარგებლობა და სუფთა ჰაერზე გასეირნების უფლება.

59. 2001 წლის 21 ნოემბერს, მას შემდეგ, რაც მეთიუს უარი ეთქვა სუფთა ჰაერზე გასეირნებაზე, იგი დაემუქრა ციხის თანამშრომლებს.

60. ინციდენტი, რომლის დროსაც ბ-ნი ვოკინგი დაშავდა, მოხდა 2001 წლის 29 ნოემბერს. მთავრობამ განაცხადა, რომ მეთიუმ ბ-ნ ვოკინგს განზრახ მიაყენა მძიმე დაზიანებები თავის არეში.

61. აღნიშნული ძალადობრივი აქტის გამო განმცხადებელს მიესაჯა 35-დღიანი სამარტო პატიმრობა. 2002 წლის 4 იანვარს სასჯელის ბოლო პერიოდში ციხის დირექტორმა, ბ-ნმა ძალურომ, ბრძანა განმცხადებლის განსაკუთრებულ რეჟიმში განწესება. აღნიშნული რეჟიმი უნდა გავრცელებულიყო პატიმრობის მთელ დარჩენილ პერიოდზე. რეჟიმი ითვალისწინებდა ზემოთ აღწერილ ათპუნქტიან მოთხოვნებს (იხ. §15).

62. 2002 წლის 5 მარტს განმცხადებლის სპეციალური რეჟიმი შეიცვალა. კერძოდ, მას აღარ ევალდებოდა საკნის დატოვებისას სპეციალურ ფორმაში ხელბორკილებით სიარული, იმ პირობით, რომ ის არ დაემუქრებოდა ციხის თანამშრომლებს ცემით. 2002 წლის 1 აგვისტოს



გამოცა ახალი ბრძანება, რომლის მიხედვითაც მას ყოველდღიურად ორსაათიანი გახვირ-  
ნების უფლება მიეცა.

63. თუმცა აღნიშნულის გამო განმცხადებლის ქცევა არ შეცვლილა. იგი კვლავ გა-  
ნაგრძობდა ციხის თანამშრომელთა დაშინებას. მთავრობამ წარმოადგინა მოხსენება, სადაც  
აღწერილი იყო, თუ როგორ მოიხსნა მეთიუმ ხელბორკილი გახვირებისას, რომ აღმოსენილ  
იქნა მიბილური ტელეფონი მის კამერაში და მან დააზიანა საკუთარი საკნის საკეტი.

64. 2002 წლის 2 აგვისტოს განმცხადებელს სთხოვეს საკნის დატოვება, რადგან მიმდი-  
ნარეობდა ჭერის სარემონტო სამუშაოები. როდესაც მან თქვა, რომ არ შეეძლო სიარული,  
ციხის თანამშრომლებმა შესთავაზეს დასმარება, რაზეც განმცხადებელმა უარი თქვა და  
აღნიშნა, რომ აწუხებდა თავისა და წელის ტკივილები და უნდოდა, რომ შესვედროდა ექიმს.  
ამ დროს, ექიმმა ის სამი დღით ადრე, 30 ივლისს, მონახულა. მონახულების შემდეგ ექიმმა  
როდრიგესმა მას დანიშნულება გამოუწერა. 2002 წლის 1 აგვისტოს მეთიუმ მედამ, ქნმა  
ბოკინამ, მონახულა. იმის გამო, რომ განმცხადებელმა უარი თქვა საკნის დატოვებაზე, შე-  
უყრხდა ჭერის სარემონტო სამუშაოები.

65. 2003 წლის 12 მარტით დათარიღებული ციხის თანამშრომლის მოხსენებაში საუბარია,  
რომ 2003 წლის 6 იანვარს დილის ორის ნახევარზე ნახეს, რომ განმცხადებელი აკეთებდა  
ხელებზე აზიდვებს.

66. ძალადობრივი ქმედებები დაფიქსირდა 2003 წლის პირველ ნახევარში.

67. 2003 წლის 1 ივლისს მოხდა კიდევ ერთი ინციდენტი, რომელიც ციხის თანამშრომ-  
ლის მიერ აღწერილია შემდეგნაირად: „პატიმარ მეთიუმ ციხის თანამშრომელმა, ემბერ-  
ტონმა, სამჯერ სთხოვა დაეტოვებინა საკანი, რათა იგი გადაეყვანილიყო სახედამხედველო  
საკანში. მეთიუმ წამოდგა საწოლიდან, თუმცა აღვილიდან არ დაძრულა და უარს ამბობდა  
სახედამხედველო საკანში გადასვლაზე. სანაცვლოდ მან ციხის ოფიცერს წიხლებით ცემა  
დაუწყო. ქვემოთ ხელმომწერი მეთიუმისთვის ხელების გაკავებას ცდილობდა, რა დროსაც მან  
დარტყმა მიიღო სახეში. ციხის რამდენიმე თანამშრომელი მეთიუმისთვის ხელბორკილების  
დადებას ცდილობდა, რაც დიდი სიმძელით მოხერხდა. ამის შემდეგ იგი საკაცზე დააწვინეს  
სახედამხედველო საკანში გადასაყვანად. გადაყვანის დროს მეთიუმ განზრახ რამდენჯერმე  
გადმოყარდა საკაციდან და ყველანაირად ცდილობდა გადაყვანის პროცესი შეეფერხებინა.  
იგი ციხის თანამშრომლებს მოკვლით ემუქრებოდა და ინგლისურ ენაზე ყვიროდა: „იცოდეთ,  
რომ გამოსვლამდე ექვსი თვე დამრჩა, და როცა გამოვალ ყველას დედას გიტირებთ“. სახე-  
დამხედველო საკანში მეთიუმ მიყვანისას მას ხელბორკილები მოხსნეს და საკანში წაიკეტეს.  
წინამდებარე ჩვენების ხელმომწერი ოფიცერი იძულებული გახდა სამედიცინო დაწესებუ-  
ლებაში წასულიყო, რათა მეთიუმს სახედამხედველო საკანში გადაყვანის დროს მიღებულ  
დაზიანებებზე ემკურნალა. ის შიშობს, რომ ციხიდან გამოსვლის შემდეგ მეთიუმ თავის დანა-  
პირებს სისრულეში მოიყვანს. ხელმომწერმა ამის შესახებ საგამომიებო ორგანოებს შეატყო-  
ბინა. მთავრობამ აღნიშნა, რომ ზემოთ აღწერილი შეიძლება იყოს ის ინციდენტი, რომელიც  
აღწერილი იქნა მეთიუმს მეგობარი პატიმრების მიერ 2003 წლის 30 ივნისს (იხ. §36).

68. დისციპლინური დასჯის მიზნით განმცხადებელს აკრძალა ვიზიტები და სატელეფონო  
საუბრები 28 დღის განმავლობაში. აღნიშნული დისციპლინური ზომები განხორციელდა 2003  
წლის 23 ივნისს და 18 აგვისტოს.

69. მთავრობამ უარყო ცნობები 2003 წლის 5 ივლისის ინციდენტის შეახებ (იხ. §41).

70. 2003 წლის განმავლობაში იყო მცდელობა, რომ განმცხადებელი დაებრუნებინათ  
ჩვეულებრივ საკანში, თუმცა მის მიერვე შექმნილი პრობლემების გამო აღნიშნული ვერ  
განხორციელდა.

71. მთავრობის განცხადებით, იმის გამო, რომ მეთიუმ უარს ამბობდა საკნის დასუფთავებაზე,

ციხის ადმინისტრაცია იძულებული იყო გადაეხადა სხვა პატიმრისათვის, რომელიც მეთიუს საკანს აღაგებდა.

72. 2004 წლის 30 აპრილს, ხელისუფლებამ დედოფლის დაბადების დღესთან დაკავშირებით, გადაწყვიტა ვადაზე ადრე გაეთავისუფლებინა განმცხადებელი, რაც განხორციელდა კიდევ.

## **ბ) სამედიცინო მომსახურება**

73. მთავრობამ აღნიშნა, რომ განმცხადებელს თავიდანვე აწუხებდა მუცლის ტკივილი. თუმცა უარი თქვა სისხლის ანალიზის გაკეთებაზე და დანიშნული წამლების მიღებაზე.

74. 2002 წლის იანვარში ცხადი გახდა, რომ განმცხადებელი თავად იზიანებდა მეხლებს განზრახ ბორკილების სახეობით. მედლა ჭრილობებს მკურნალობდა ბეტადინის (დეზინფექციის საშუალება) მეშვეობით. აღნიშნულთან დაკავშირებით მეთიუ ორჯერ მონახულა ციხის ექიმმა 2002 წლის 24 იანვარსა და 15 თებერვალს. 2002 წლის 5 მარტს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ბორკილები აღარ გამოეყენებინათ.

75. 2002 წლის 6 მარტს განმცხადებელი შეხვდა მედლას და ესაუბრა თავის ტკივილსა და თვალის პრობლემებზე. 26 მარტს მას ჩაუტარდა სამედიცინო შემოწმება.

76. 2002 წლის 31 მარტს განმცხადებელი აღნიშნავდა, რომ მას აწუხებდა მუცლის ტკივილი და სისხლდენა, თუმცა ანალიზის გასაკეთებლად შარდის მიცემაზე უარი განაცხადა.

77. 2002 წლის 4 აპრილს განმცხადებელი ექიმმა მონახულა.

78. 2002 წლის 16 აპრილს განმცხადებელმა ვარჯიშის დროს წელი იტყინა. ექიმმა მას ტკივილგამაყუჩებლები დაუნიშნა. მეთიუ მონახულებულ იქნა 19 აპრილს.

79. 2002 წლის 26 აპრილს განმცხადებელმა უარი თქვა ფსიქიატრის დახმარებაზე.

80. 2002 წლის 30 ივლისს განმცხადებელი მონახულებულ იქნა კუბელი ექიმის მიერ, რომელმაც ვერაფერი აღმოაჩინა.

81. 2002 წლის 14 აგვისტოს განმცხადებელს მოუტანეს ინვალიდის სავარძელი.

82. 2002 წლის 10 სექტემბერს განმცხადებელი გადაიყვანეს საავადმყოფოში ექიმების – ლოპესისა და მოლინას მიერ შემოწმების მიზნით. იგი შეამოწმეს რენტგენისა და ექსსკოპიის მეშვეობით. დადგინდა, რომ განმცხადებელს აწუხებდა დისკოზი, რისთვისაც დაენიშნა მკურნალობა.

83. 2003 წლის 21 ივნისის სამედიცინო დასკვნაში აღნიშნული იყო, რომ ფიზიოთერაპია პატიმარს უნდა დაეფინანსებინა, რაზედაც განმცხადებელმა უარი განაცხადა. აღნიშნულიდან გამომდინარე, იგი ვეღარ გადიოდა ფიზიოთერაპიის კურსს.

84. 2003 წლის 13 თებერვალს განმცხადებელს აღმოეჩინეს გარკვეული წანაზარდები თავის უკანა მხარეს, რომელიც მოაშორეს 20 თებერვალს.

85. 2003 წლის თებერვალში და მარტში განმცხადებელი კვლავ ჩიოდა წელის ტკივილის გამო და აღნიშნავდა, რომ ტკივილგამაყუჩებლები არაეფექტური იყო. 2003 წლის 5 აპრილს განმცხადებელი მონახულა ექიმმა ლოპესმა, რომელმაც კვლავ ფიზიოთერაპიის კურსები დაუნიშნა.

86. 2003 წლის 21 მაისს განმცხადებელი საავადმყოფოში მიიღეს ინტენსიური ფიზიოთერაპიის გასაველელად. საავადმყოფოში იგი 2003 წლის 13 ივნისამდე დარჩა. მიღწეულ

იქნა შეთანხმება, რომ იგი თერაპიის კურსს გააგრძელებდა ციხეში

87. 2003 წლის 19 ივნისს განმცხადებელმა უარი თქვა ფიზიოთერაპიაზე

88. 2003 წლის 21 ივნისს განმცხადებელმა აღნიშნა, რომ წაიქცა და იტკინა წელი, რის გამოც გადაყვანილ იქნა სამკურნალოდ

89. განმცხადებელი არ დაესწრო ფიზიოთერაპიის კურსებს 2003 წლის 24-26 ივნისს და 1, 3 და 7 ივლისს.

90. ფიზიოთერაპიის კურსი დასრულდა 2004 წლის 6 მარტს ამ დროისათვის განმცხადებელს კვლავ აწუხებდა ტკივილი წელის არეში

91. სახედამხედველო საბჭოს წარევის შედეგად ფიზიოთერაპია განასლდა 2004 წლის 6 აპრილს.

### გ) საჩივრების პროცედურა

92. მთავრობამ განაცხადა, რომ განმცხადებელმა ციხის სახედამხედველო საბჭოს პირველად 2002 წლის 20 იანვარს მისწერა. განმცხადებლის საჩივრები საბჭომ განიხილა სხდომებზე, რომლებიც ჩატარდა 2002 წლის 30 იანვარს და 27 თებერვალს კომისიამ განმცხადებელს უპასუხა 2002 წლის 26 მარტს. პასუხში ეწერა: საქმის ყველა გარემოების გათვალისწინებით საბჭო იღებს გადაწყვეტილებას, რომ თქვენთვის განსაზღვრული რეჟიმი ჯერ კიდევ აუცილებელია თქვენი და სხვების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ამასთან, ციხის დირექტორთან მიღწეულ იქნა შეთანხმება შესაძლებლობის ფარგლებში რეჟიმის შემსუბუქების თაობაზე. შესაბამისად, ყველაფერი დამოკიდებულია თქვენს ქცევაზე.

93. 2002 წლის 5 სექტემბერს განმცხადებელმა საკუთარი ადვოკატის მეშვეობით კიდევ ერთხელ მისწერა საბჭოს წერილი, რომელშიც გაასაჩივრა რეჟიმი და მის საკანში არსებული პირობები.

94. 2002 წლის 7 ოქტომბრის წერილით განმცხადებელმა მისი ადვოკატის მეშვეობით ერთი მხრივ აღიარა, რომ მისი საკნის სახურავი შეკეთდა, თუმცა იქვე განაცხადა, რომ 4 თვის განმავლობაში მას არ ჰქონია საკნის გარეთ გამოსვლის და ასევე ფიზიოთერაპიის კურსის გაკლის შესაძლებლობა.

95. 2002 წლის 30 ოქტომბერს განმცხადებელმა უკვე თავად მისწერა სახედამხედველო საბჭოს იმავე შინაარსის საჩივარი.

96. იმავე დღეს საბჭოს წევრებმა მოინახულეს განმცხადებლის საკანი და პირადად გაესაუბრნენ მას. გასაუბრების შედეგად საბჭოს წევრებმა ციხის დირექტორს განმცხადებლის ჩვეულებრივ საკანში გადაყვანა ურჩიეს

97. სახედამხედველო საბჭომ აღნიშნული პრობლემა წამოჭრა არუბას იუსტიციის მინისტრთანაც, რომელმაც ციხის დირექტორს ასევე ურჩია მეთიუს ჩვეულებრივ საკანში გადაყვანა, რაც შესრულდა კიდევ.

98. თუმცა მას შემდეგ, რაც მეთიუ ჩვეულებრივ საკანში პირველ სართულზე გადაიყვანეს, მოხდა ინციდენტი, რის შემდეგაც ციხის ადმინისტრაცია იძულებული გახდა იგი სამართლო საკანში გადაეყვანა.

99. განმცხადებლის მეუღლისაგან მეთიუს ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღების შემდეგ საბჭომ ციხის ადმინისტრაციას სთხოვა უზრუნველყო მეთიუს მიერ ფიზიოთერაპიის კურსის გაკლა. საბჭომ მიიღო პასუხი, სადაც ციხის ადმინისტრაცია

განმარტავდა, რომ რადგან განმცხადებელი უარს ამბობდა მკურნალობის ხარჯების ანაზღაურებაზე, კერ ხერხდებოდა ფიზიოთერაპიის კურსის ჩატარება.

100. საზედამსხვედველო საბჭომ არუბას იუსტიციის სამინისტროს სახსრებით დაიქირავა ფიზიოთერაპევტი. ბ-ნი კარტი, რომელმაც მკურნალობა დაიწყო 2004 წლის 6 მარტს.

### 3) სისხლისსამართლებრივი პროცედურა

101. 2002 წლის 14 ივნისს არუბას პირველი ინსტანციის სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლის საფუძველზეც განმცხადებელს მიესაჯა 6 წლით თავისუფლების აღკვეთა სხეულის განზრახ მიძიმე დაზიანებისათვის. გადაწყვეტილება გასაჩივრდა.

102. 2003 წლის 14 აპრილს მართლმსაჯულების სასამართლომ გამოიტანა გადაწყვეტილება, რომლითაც გაუქმდა პირველი ინსტანციის სასამართლოს 2002 წლის 14 ივნისის გადაწყვეტილება. მართლმსაჯულების სასამართლომ განმცხადებელი ბრალდებულად ცნო 2001 წლის 19 აგვისტოს თანამონაწილესთან ერთად მესამე პირისათვის სხეულის მიძიმე დაზიანების მიყენებაში და 2001 წლის 29 ნოემბერს ციხის დირექტორის, ბ-ნი ვოკინგისათვის, სხეულის დაზიანების მიყენებაში (ორივე შემთხვევაში დაზარალებულებს სცემეს მუშტებითა და ფეხებით). გადაწყვეტილებაში გამოყენებული იყო შემდეგი ფრაზები: „სასჯელის განსაზღვრისას სასამართლო გაითვალისწინებს იმ პირობებს, რომელშიც ბ-ნი მეთიუ იმყოფება. 2001 წლის 16 ნოემბერს განმცხადებელი მოთავსდა სადამსჯელო საკანში, სადაც იგი აღრეც რამდენჯერმე იყო მოთავსებული სხვადასხვა მიზეზით, გაქცევის მცდელობის ჩათვლით. მისი სადამსჯელო საკანში მოთავსება ორჯერ გახანგრძლივდა 7 დღით, 2001 წლის 21 ნოემბრამდე - ერთ შემთხვევაში ციხის თანამშრომლის ბრძანების დაუმორჩილებლობისათვის ხოლო მეორედ - საპატიმრო დაწესებულებაში უწესრიგობის გამოწვევის გამო. მოგვიანებით, მისი სამართლო პატიმრობა გახანგრძლივდა 2002 წლის 4 იანვრამდე ბ-ნი ვოკინგზე თავდასხმის გამო. აღნიშნული ზომა შეიცვალა 2002 წლის 5 მარტს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ განმცხადებელი სუფთა პაერზე არ ყოფილა გაყვანილი იმ მიზეზით, რომ მისივე განცხადებით, მას არ შეეძლო სიარული. სასამართლო ითვალისწინებს, რომ განმცხადებელი მოცემულ პერიოდში განსაკუთრებით მკაცრ რეჟიმში იმყოფებოდა, თუმცა იქვე აღნიშნავს, რომ მისი იზოლაცია გამოწვეული იყო მასა და ციხის პერსონალს შორის არსებული გამუდმებული კონფლიქტური სიტუაციით, რამაც კულმინაციას ბ-ნი ვოკინგზე თავდასხმისას მიაღწია. აღნიშნულიდან გამომდინარე, გასაგებია ციხის ადმინისტრაციის გადაწყვეტილება განმცხადებლის სამართლო საკანში მოთავსების თაობაზე. აქვე სასამართლო აღიარებს იმას, რომ სამართლო პატიმრობამ ნეგატიური გავლენა იქონია მეთიუს ჯანმრთელობაზე. მეთიუმ აგრეთვე განაცხადა, რომ იგი დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას, თუმცა მოცემული ბრალდების გამოძიება ამ სამართალწარმოების ფარგლებს სცილდება.

103. სასამართლო მიიხსენებს, რომ განმცხადებლის საპატიმრო პირობებს გათვალისწინებით სასჯელი უნდა შემცირდეს 3 წელსა და 6 თვემდე.

104. განმცხადებელმა აღნიშნული გადაწყვეტილება გაასაჩივრა უზენაეს სასამართლოში. 2004 წლის 1 ივნისის გადაწყვეტილებით სასივარო წარმოებაში არ იქნა მიღებული.

### 4. პატიმრობის პირობებთან დაკავშირებული სასამართლო პროცედურა

#### ა. პროცედურის პირველი წყება

105. 2003 წლის 19 თებერვალს განმცხადებელმა არუბას პირველი ინსტანციის სასამართლოში წამოიწყო სამოქალაქო სამართალწარმოება სამართლო პატიმრობისა და ცუდი საპატიმრო პირობების შესაცვლელად.

106. 2003 წლის 12 მარტს არუბას პირველი ინსტანციის სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც მას არ ჰქონდა იურისდიქცია მოცემულ საქმეზე, რადგან იგი ატარებდა

სისხლისსამართლებრივ სახიაოს (სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 43-ე მუხლი) და აღნიშნული საქმე მართლმსაჯულების სასამართლოს უნდა განეხილა

107. 2003 წლის 23 მარტს განმცხადებელმა მართლმსაჯულების სასამართლოში წარადგინა საჩივარი, რომლითაც მოითხოვდა ჩუქულებრივი პატიმრის სტატუსის აღდგენას და შესაბამისი შეზღუდვების გაუქმებას

108. მართლმსაჯულების სასამართლოში მოსმენა გაიმართა 2003 წლის 16 აპრილს. განმცხადებელმა მოითხოვა მოსამართლეთა აცილება, არაძღვანადაც ისინი პირველი ინსტანციის წესით მონაწილეობდნენ მისი საქმის განხილვაში.

109. 2003 წლის 25 აპრილს მართლმსაჯულების სასამართლომ აცილების მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და მთავარი სხდომა დანიშნა 2003 წლის 13 მაისს.

110. 2003 წლის 27 მაისს მიიღო შეადგენი გადაწყვეტილება განმცხადებლის მოთხოვნათა დაკმაყოფილების თაობაზე. იმავე სხდომაზე გადაწყვედა ციხის დირექტორის დაკითხვა მოწმის სახით.

111. 2003 წლის 15 ივლისს, სასამართლომ მიიღო საბოლოო გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, ციხის დირექტორს განმცხადებელთან მიმართებით მხედველობაში უნდა მიეღო შემდეგი სახელმძღვანელო პრინციპები: ა) საზედამხედველო საკანში მოთავსების აუცილებლობა უნდა გადაესინჯათ რეგულარულად, სულ მცირე, თვეში ერთხელ. რაიმე სახის დარღვევის არარსებობის შემთხვევაში განმცხადებელი უნდა დაებრუნებინათ ჩუქულებრივ რეჟიმში; ბ) საკანის გარეთ ხელბორკილების გამოყენება რეგულარულად უნდა გადასინჯულიყო, სულ მცირე, კვირაში ერთხელ მაინც. ინციდენტის არარსებობის შემთხვევაში ხელბორკილები არ უნდა გამოეყენებინათ; გ) განმცხადებელს შესაძლებლობა უნდა ჰქონოდა ესარგებლა გასეირნებით. სასამართლომ საჭიროდ არ მიიხნია დაეკადლებულინა ციხის ადმინისტრაცია განმცხადებელი გადაეყვანა სასეირნო ადგილას ისევე, როგორც ოჯახთან შეხვედრების დროს. სამედიცინო ჩანაწერებიდან ჩანს და ამას განმცხადებელიც არ უარყოფს, რომ მას დახმარების გარეშე შეეძლო გადაადგილება; დ) საქმიდან არ ჩანს, რომ განმცხადებლის კორესპონდენცია ექვემდებარებოდა ცენზურას; ე) მეოთხეს უნდა ჰქონოდა სრულფასოვანი სამედიცინო მომსახურება ექიმის მიერ განსაზღვრული დანიშნულების მიხედვით; ე) მიუხედავად იმისა, რომ მკაცრ რეჟიმში მოთავსება განპირობებულია განმცხადებლის ქცევით, მას აქვს უფლება ადამიანური მოპყრობისა; ზ) ყველა შემთხვევაში, როდესაც გამოყენებული იქნება დისციპლინური ზომები, უნდა მოხდეს აღნიშნული ზომების გამოყენების მიზეზების დოკუმენტური ასახვა.

112. 2003 წლის 17 ივლისს ექიმმა როდრიგესმა არუბას საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტიდან მისწერა ექიმ ვალეუო ლოპესს და იგი განმცხადებლისათვის დიაგნოზის დასასმელად მოიწვია.

## **ბ) განმცხადებლის პროცედურის მეორე წყება**

113. 2003 წლის 8 აგვისტოს განმცხადებელმა გათავისუფლების მოთხოვნით მიმართა მართლმსაჯულების სასამართლოს.

114. 2003 წლის 2 სექტემბერს მართლმსაჯულების სასამართლომ თხოვნა დაუშვებლად ცნო და განაცხადა, რომ აღნიშნული თხოვნისათვის სხვა პროცედურა არსებობდა.

115. ციხის დირექტორმა მიიღო ზომები განმცხადებლის ოთახში ტელევიზორის დასამონტაჟებლად. განმცხადებლის მეორე მოთხოვნა, რომელიც მის პოლანდიაში გადაყვანას ეხებოდა, არ დაკმაყოფილდა.

5. ციხე, რომელშიც განმცხადებელი იყო მოთავსებული (კია)

116. მოავრობის განცხადებით, ციხე, რომელშიც განმცხადებელი იყო მოთავსებული, იტყვევდა 205 პატიმარს. მასში ათავსებდნენ პატიმრებს, რომელთაც მსუბუქი სასჯელი ჰქონდათ, ან იმ პირებს, რომლებსაც ჯარიმის გადაუხდელობის გამო უფარდებდნენ პატიმრობას. ციხეში მოთავსებული იყვნენ ასევე ქალები და არასრულწლოვნები. წინასწარ პატიმრობაში მყოფი ზრდასრული მამაკაცები და მსჯავრდებულები მოთავსებულნი იყვნენ სამადგილიან საკნებში ციხეში არის 4 სამარტო საკანი, რომელიც განკუთვნილია გრძელვადიანი პატიმრებისათვის ციხეში ასევე არის 4 სადამკვირვებლო საკანი ფსიქიკური აშლილობის მქონე პირებისათვის ჩანაწერების მიხედვით, აღნიშნული საკნები, როგორც წესი, დაკავებულია.

117. საზედამხედველო საკნის სიგრძე, რომელშიც განმცხადებელი ჰყავდათ დაკავებული, არის 7,4 მ. ხოლო სიგანე – 3 მ. მასში არის საწოლი, მაგიდა, სკამი, ტუალეტი და საშხაპე. საკანი მეორე სართულზე სახურავის ქვეშ მდებარეობს.

118 ციხეს უმატებენ ახალ განყოფილებას, რომელშიც მაღალი საფრთხის მატარებელ პატიმრებს მოათავსებენ.

6. სამედიცინო ინფორმაცია, რომელიც მოპოვებულ იქნა განმცხადებლის გათავისუფლების შემდეგ

119. განმცხადებელი 2004 წლის 19 მაისს მონახულა ბ-ნმა მაიკლ ლანჩლოტმა, რომელიც არის როდ აირლენდზე მოღვაწე ექიმი. მეთიუმ შესხივლა ბატონ ლანჩლოტის წელის მწვავე ტკივილისა და კიდურების გაკაკვების შესახებ. ტკივილი მას არ აძლევდა კიბეებზე ასვლა-ჩამოსვლის შესაძლებლობას. მას უჭირდა ფეხზე დგომა და ხანგრძლივი სიარული. შემდეგ მან აღნიშნა თავის ტკივილისა და მხედველობის გაუარესების, ასევე მუხლებში ტკივილის შეგრძნების შესახებ. სამოდროდ დამხმარე საშუალებებს იყენებდა. ბატონი ლანჩლოტის მოსხენებაში განმცხადებელი აღწერილია, როგორც „აბსოლუტური ინვალიდი“, ასევე განსაზღვრულია მკურნალობის გეგმა.

120. ბატონმა ლანჩლოტიმ მოგვიანებით განმცხადებელი რამდენჯერმე მონახულა. მათ შორის, 21, 24, 26 და 28 მაისს; 2, 4, 7, 9, 11, 14, 17, 22, 24, და 29 ივნისს. 1, 6, 13, 19, 21, 23, 26 და 30 ივლისს და 2, 4, 11, 13, 16, 19, 23, 27 და 30 აგვისტოს 2004 წელს. ბატონი ლანჩლოტის მიერ 2004 წლის 3 სექტემბერს შედგენილი ჩანაწერის თანახმად, რომელიც ეფუძნებოდა განმცხადებლის სუბიექტურ პრეტენზიებს ტკივილთან დაკავშირებით და ექოსკოპიურ გამოსახულებას, აღნიშნული იყო, რომ: „განმცხადებელს აქვს სხეულის პერმანენტული ფიზიკური უნარდაქვეითება, რაც მოდიანობაში გამოწვეულია არასათანადო მოპყრობით და ცულგრილი დამოკიდებულებით; პროგრესი არის ნელი“

7. ფოტომასალა

121. განმცხადებელმა წარმოადგინა ფერადი ფოტოების ასლები. პირველ ფოტოზე გამოსახული იყო სპორტული აგებულების განმცხადებელი, რომელიც იატაკზე იწვა და მეორე მამაკაცს მის თავზე ფეხი ედო. მეორე სურათზე გამოსახული იყო იგივე მამაკაცი, რომელიც იწვა იატაკზე და მას თავზე სისხლნაქცევები აღენიშნებოდა. სისხლნაქცევები არ ჩანს პირველ ფოტოზე. თუმცა შეინიშნება დაზიანებები მამაკაცის მარცხენა მხარზე.

122. მოავრობას არ უარუყვია, რომ აღნიშნულ ფოტოებზე განმცხადებელი იყო გამოსახული. თუმცა მათ ფოტოები გაყალბებულად მიიჩნის. მათი აზრით, ფოტოზე აღნიშნული მეორე პირი ციხის თანამშრომელია, რომელიც განმცხადებელმა სურათის გადაღების მიზნით მოიხიდა.

123. ფოტოები გამოქვეყნდა როგორც პრესაში, ასევე ინტერნეტში არუბას ციხეში არსებული არასათანადო მოპყრობის დემონსტრირების მიზნით.

124. ფოტოების გამოქვეყნების შემდეგ ბ-ნი მურაღუს მიერ 2003 წლის 23 ივლისს აღიძრა საზივარი ცილისწამებისათვის. გამოძიება შეწყდა 2002 წლის 6 დეკემბერს.

## ბ) შესაბამისი შიდა სამართალი და პრაქტიკა

### 1. ნიდერლანდების სამეფოს კონსტიტუცია

125. ნიდერლანდების კონსტიტუციის მოცემულ საქმესთან დაკავშირებული დებულებები

### პრეამბულა

„ნიდერლანდები სურინამთან და ანტილის კუნძულებთან ერთად 1954 წელს გამოსატყელი თავისუფალი ნების საფუძველზე აყალიბებენ ნიდერლანდების სამეფოს, რომელშიც თითოეული მათგანი საკუთარ შიდა ინტერესებში შემავალ საკითხებს გადაწყვეტს ავტონომიურად, თანასწორობის პრინციპის საფუძველზე და სხვებთან თანამშრომლობით. . .

იმის გათვალისწინებით, რომ არუბამ საკუთარი ნების საფუძველზე აღიარა წინამდებარე კონსტიტუციური წყობა ქვეყნის ნაწილად, ერთობლივი კონსულტაციის საფუძველზე თანხმდებიან“:

### მუხლი 36

ნიდერლანდები, ანტილის კუნძულები და არუბა ერთმანეთს გაუწევენ ერთიერთდასამარებას.

### მუხლი 40

ნიდერლანდების, ანტილის კუნძულებისა და არუბას სასამართლოების მიერ მიღებული გადაწყვეტილებები ექვემდებარება დაუყოვნებლივ აღსრულებას შესაბამისი ქვეყნის კანონმდებლობის გათვალისწინებით.

### მუხლი 41

1. ნიდერლანდები, ანტილის კუნძულები და არუბა ქვეყნის შიდა საკითხებს გადაწყვეტენ ავტონომიურად.

2. სამეფოს ინტერესები სამივე ქვეყნის საერთო ინტერესებს წარმოადგენს.

2. ნიდერლანდების, ანტილის კუნძულებისა და არუბას საერთო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი

126. ნიდერლანდების სამეფოს, ანტილისა და არუბას საერთო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 43-ე მუხლის თანახმად,

„1. ყველა იმ საქმეში, რომელშიც კანონით არ არის გათვალისწინებული სისხლისსამართლებრივი მართლმსაჯულების ადმინისტრირებისათვის საჭირო ღონისძიება, აღნიშნული ღონისძიება შეიძლება ეჭვმიტანილის ან ნებისმიერი შემხებლობაში მყოფი სხვა პირის მიერ.

5. ზომა შეიძლება ეხებოდეს მომავალში რაიმე ქმედების განხორციელებას ან მისგან თავის შეკავებას.

6. გადაწყვეტილება შეიძლება მიღებულ იქნეს დაუყოვნებლივ გარემოებებიდან გამომდინარე.

8. სასამართლოს უფლება აქვს მათიხევის აღნიშნული ზომის განხორციელება მიუხედავად მის წინააღმდეგ დაწერილი ხსივნისა

## გ. ევროპის საბჭოს დოკუმენტები

1. ევროპული ციხის წესები (ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია 87/3)

127. ქვემოთ მოცემულია ამონაკრები ევროპის საბჭოს ციხის წესებიდან:

### „სამედიცინო მომსახურება

26. 1. ყველა დაწესებულებაში უზრუნველყოფილი უნდა იყოს მინიმუმ ერთი კვალიფიცირებული ექიმი-თერაპევტის მომსახურება. სამედიცინო მომსახურების ორგანიზება უნდა მოხდეს ადგილობრივ ჯანმრთელობის დაცვის ორგანოსთან მჭიდრო თანამშრომლობით. ეს მომსახურება უნდა მოიცავდეს ფსიქიატრიულ დიაგნოსტიკასა და საჭიროების შემთხვევაში, კონტრებიო ანთმალიების მკურნალობას.

2. ავადმყოფი პატიმრები, რომელთაც ესაჭიროებათ სპეციალიზებული მკურნალობა, გადაყვანილ უნდა იქნენ სამოქალაქო საავადმყოფოში. იმ საავადმყოფოებში, რომლებიც მოთავსებულია დაწესებულებაში, დანადგარები, ავეჯი და ფარმაცევტული მარაგები უნდა შეესაბამებოდეს ავადმყოფი პატიმრების მკურნალობის საჭიროებებს, ხოლო ამ საავადმყოფოების პერსონალი სათანადოდ უნდა იყოს მომზადებული.

### შეზღუდვის მეთოდები

39. ჯაჭვებისა და ბორკილების გამოყენება აკრძალული უნდა იყოს. სამაჯურების, შემზღუდველი პერანგისა და მოძრაობის შემზღუდველი სხვა საშუალებების გამოყენება სასჯელის ფორმით არ უნდა იყოს დაშვებული. ამ საგნების გამოყენება დასაშვებია მხოლოდ შემდეგ გარემოებებში:

ა. აუცილებლობის შემთხვევაში, პატიმრის ერთი ადგილიდან მეორეზე გადაყვანისას, გაქცევის შესაძლებლობის თავიდან ასაცილებლად, მხოლოდ იმ პირობით, რომ პატიმარი განთავისუფლებულ იქნება ბორკილებისაგან და სხვა ამდაგვარი შემზღუდავი საშუალებებისაგან სასამართლო ან ადმინისტრაციული თანამდებობის პირის წინაშე წარდგენისას (გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული თანამდებობის პირი მიიღებს საპირისპირო გადაწყვეტილებას).

ბ. სამედიცინო მოსახურებით, სამედიცინო მუშაკის ზედამხედველობით;

გ. ღირექციის განკარგულებით, იმ შემთხვევაში, თუ კონტროლის სხვა მეთოდები არაუეფექტური გამოდგება, პატიმრის მიერ საკუთარი თავისათვის ან სხვებისთვის ზიანის მიყენების, ან საკუთრების სერიოზული დაზიანების თავიდან ასაცილებლად; ასეთ შემთხვევებში ციხის ღირექტორმა კონსულტაცია უნდა მიიღოს ექიმისაგან და, იმავედროულად, მოასსენის ზემდგომ ადმინისტრაციულ პირს“.

2. წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ზოგადი მოხსენება

128. ქვემოთ მოცემულია ამონარიდი წამების საწინააღმდეგო კომიტეტის ზოგადი მოხსენებიდან (წსკ 92/3):

„53. ციხის თანამშრომლებს პერიოდულად უწევთ ძალის გამოყენება ციხეში წესრიგის დასამყარებლად. ყველა აღნიშნული სიტუაცია თავის თავში ძალის გამოყენების მაღალ რისკს შეიცავს. ყველა პატიმარს, რომლის მიმართაც ძალა იქნა გამოყენებული, უფლება აქვს დაუყოვნებლივ შემოწმდეს ექიმის მიერ. აღნიშნულ შემთხვევებს შეიძლება ესწრებოდეს მხოლოდ სამედიცინო პერსონალი. შემოწმების შედეგები შენახულ უნდა იქნეს დოკუმენტების სახით და შემოწმებულ პირს უნდა მიეცეს მისი გაცნობის შესაძლებლობა. იმ შემთხვევებში, როდესაც გამოყენებულია ფისიკური შეზღუდვის საშუალებები, პირი, რომლის მიმართაც ის



გამოყენება. უნდა იმყოფებოდეს მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ. აღნიშნული შეზღუდვები უნდა მოისხნას პირველივე შესაძლებლობისთანავე. ყველა შემთხვევაში აღნიშნული საშუალებების გამოყენება ნაწერილი უნდა იქნეს დოკუმენტების სახით.

56. წსკ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს სამართლო პატიმრობაში ნებისმიერი მიზეზით მყოფი პირების მდგომარეობას.

პროპორციულობის პრინციპი მოითხოვს ბალანსის დაცვას სამართლო პატიმრობის გამოყენებისას, იმის გათვალისწინებით, რომ პატიმრობის აღნიშნულ ფორმას შეიძლება გამანადგურებელი ეფექტი ჰქონდეს ადამიანის ჯანმრთელობაზე, რაც შემთხვევებში კი სამართლო პატიმრობა შეიძლება გაუცოდდეს არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას. შედეგად, პატიმრობის მოცემული ფორმა შეიძლება გამოყენებულ იქნეს მხოლოდ უკიდურეს შემთხვევებში”.

## სამართალი

### 1. სასამართლოს მიერ საქმის განხილვის ფარგლები

129. განმცხადებელი, რომელსაც დასაწყისში ადვოკატი არ ჰყოლია, ასახივრებდა კონვენციის მე-3, მე-5, მე-8, მე-9, მე-10, მე-11, მე-12, მე-19 და ადამიანის უფლებათა დეკლარაციის 25-ე მუხლებს. მთავრობის მიერ მომზადებული მიმოხილვის პასუხად განმცხადებელმა უარი თქვა თავის პრეტენზიებზე და ძალაში დატოვა მხოლოდ მე-3 მუხლთან დაკავშირებული საჩივარი.

130. სასამართლო საქმეს განიხილავს განმცხადებლის მიერ წამოყენებული პრეტენზიის ფარგლებში. სასამართლო არ მიიხვევს აუცილებლად სხვა საკითხების განხილვას.

### II. კონვენციის მე-3 მუხლის სავარაუდო დარღვევა

ევროპული კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, „არავინ შეიძლება დაექვემდებაროს წამებას, არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას ან დასჯას”.

131. განმცხადებელი მიიხედავდა, რომ მის მიმართ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლის მოთხოვნები გამომდინარე არასათანადო მოპყრობიდან, სამართლო პატიმრობიდან, პატიმრობის პირობებიდან და სამედიცინო მომსახურებიდან. მთავრობამ აღნიშნული პრეტენზიები უარყო.

#### ა. არგუმენტები სასამართლოს წინაშე

##### 1. მთავრობა

##### ა. წინასწარი პრეტენზიები

132. მთავრობის აზრით, განაცხადი დაუშვებლად უნდა ეცნოთ. მთავრობამ სასამართლოს ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზე, რომ მართლმსაჯულების სასამართლომ განმცხადებლის საპატიმრო პირობების მხედველობაში მიღებით მნიშვნელოვნად შეამცირა პატიმრობის საერთო ვადა. აღნიშნული წარმოადგენს სათანადო კომპენსაციას პატიმრობის პირობების გამო მიყენებული ზიანისათვის. შესაბამისად, განმცხადებელი არ შეიძლება მიხნეულ იქნეს „მსხვერპლად” კონვენციის მიზნებისათვის.

##### ბ. არსებითი მხარე

133. მთავრობამ მიმოხილვაში წარმოადგინა განმცხადებლისაგან წარმოდგენილი ფაქტების სრულიად განსხვავებული ვერსია. აღნიშნული განსხვავებები განხილულ იქნა ზემოთ.

134. მთავრობამ საქმე არსებითად დაუსაბუთებლად მიიხნია. მათი აზრით, მთავრობას არ მიუღწევია სისასტიკის იმ მიზნადღერი ზღვრისათვის, რომელიც აუცილებელია კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის დასადგენად მთავრობამ წინამდებარე საქმე შეადარა საქმესთან „მესინა იტალიის წინააღმდეგ“. რომელშიც განსხვავებული კატეგორიის პატიმრების ერთად მთავსება არ მიხნეულა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევად. მეთიუ იყო საშიში პატიმარი მისი ძალადობრივი საქციელიდან გამომდინარე, რაც აუცილებელს სდიდა მის იზილაციას. რადგან არუბაში სხვა საპატიმრო არ არსებობდა. მეთიუს მთავსება მოცემულ ციხეში შეუქცევად ხასიათს ატარებდა.

135. განმცხადებელი რეგულარულად მოწმებოდა ციხის სამედიცინო პერსონალის მიერ, ხოლო გარკვეული პრობლემები ჯანმრთელობასთან დაკავშირებით გამოწვეული იყო იმ ფაქტით, რომ მეთიუ არ თანამშრომლობდა სამედიცინო პერსონალთან.

136. განმცხადებლის პრეტენზიები არასათანადო მოპყრობასთან თაობაზე გადაჭარბებული იყო მის მიმართ ძალის გამოყენება მისივე ქცევით იყო განპირობებული და იყო პროპორციული.

## **2. განმცხადებელი**

### **ა) წინასწარი პრეტენზიები**

137. განმცხადებლის აზრით, იგი გახდა კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევის მსხვერპლი. მიუხედავად იმისა, რომ მართლმსაჯულების სასამართლომ შეამცირა პატიმრობის საერთო ვადა პატიმრობის არასათანადო პირობების კომპენსაციის მიზნით თუმცა პატიმრობის ვადის შემცირებას არ შეუძლია მოახდინოს იმ ფიზიკური და მორალური ზიანის ანაზღაურება, რომელიც არასათანადო მოპყრობის შედეგად მიადგა მას.

### **ბ) საქმის არსებითი მხარე**

138. განმცხადებელმა კოთხვის ნიშნის ქვეშ დასვა სახელმწიფოს მიერ წამოყენებული არაერთი განცხადება.

139. მაგალითად, განმცხადებელმა უარყო მის მიერ შხაპის დამოუკიდებლად მიღებისა და აზიღვების გაკეთების შესაძლებლობა. ციხის თანამშრომელმა, რომელიც დაფიქსირდა დოკუმენტებში, როგორც აღნიშნული ფაქტის თვითმხიღველი, განმცხადებელს პირად საუბარში უთხრა, რომ მას მსგავსი რამ არ განუცხადებია.

140. განმცხადებელს არ შეუძლო საკუთარ საკანში დასმარების გარეშე სისუფთავის დაცვა. მან აღიარა, რომ კვირაში ერთხელ მის საკანს სხვა პატიმარი აღაგებდა.

141. განმცხადებელმა უარყო 2001 წლის 16 ნოემბრის შემდგომ პერიოდში მისი ციხის დირექტორთან გასაუბრების ფაქტი. მოსხენებები, რომლებიც მის მიერ წესრიღის დარღვევას ეხებოდა, არ შეესაბამებოდა სინამღვიღეს. განმცხადებელმა უარყო ხელბორკიღების მოსხნის, საკნის საკეტის გაფუჭების, მობიღური ტელეფონის ქონის, ასევე ციხის თანამშრომელზე თავდასხმის ფაქტები. მან უარყო მთავრობის განაცხადი იმის თაობაზე, რომ თითქოს მას არ სურდა საკნის დატოვება მაშინ, როდესაც სახურავი უნდა შეეკეთებინათ ამის სანაცვლოდ მეთიუმ რემონტის დროს სხვა საკანში გადაყვანა მოითხოვა.

142. განმცხადებელი დროებით გადაყვანიღ იქნა სხვა საკანში, სადაც იგი იმყოფებოდა სხვა პატიმართან ერთად. ცეცხლის გახენა ყოვეღგვარი გამოძიების გარეშე მიაწერეს განმცხადებელს, რის შედეგადაც მას სცემეს. დაადეს ხელბორკიღები და დააბრუნეს სახელამხეღველო საკანში.

143. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ მას არასდროს უთქვამს უარი ექიმის დასმარებაზე.

იგი უბრალოდ აპროტესტებდა იმ პირობებს, რომელშიც უნდა მომხდარიყო მკერძალობის კურსის ნატარება მან აღიარა, რომ ის შეამოწმა კუბიდან წამოსულის ექიმმა. თუმცა არ დაუდასტურებია ინფორმაცია იმის შესახებ, თითქოს რომელიმე ექიმმა ის ჯანმრთელადამიანად მიიხსია

144 განმცხადებელმა არ დაადასტურა ინფორმაცია იმის თაობაზე, რომ თითქოს მას არ სურდა ფიზიოთერაპიის საფასურის გადახდა. როგორც წესი, პაციენტები, რომელთაც სჭირდებათ ფიზიოთერაპია, საავადმყოფოში გადახვევით ყოველგვარი საფასურის გარეშე თუმცა განმცხადებელს არ შეეძლო იმ მანქანამდე მისვლა, რომლითაც უნდა მომხდარიყო მისი ტრანსპორტირება. მას ასევე არ შეეძლო მანქანაში ჯდომა ფიზიოთერაპიის კურსის ციხეში ჩატარების საფასური იქნებდა 750 არუბელი ფლორინი ერთი სეანსისათვის მეთოქს ესაჭიროებოდა კვირაში ორი სეანსი, რისი გადახდის შესაძლებლობაც მას არ გააჩნდა

145 განმცხადებელმა უარყო განზრახ თვითდაზიანების ფაქტიც. დაზიანებები გამოწვეული იყო ბორკილების ბასრი ნაპირებით, რამაც დღემდე შესამჩნევო იარები დაუტოვა

146 განმცხადებელმა უარყო, რომ თითქოს მას არ სურდა 2002 წლის აპრილში ფსიქიატრთან შეხვედრა 2003 წელს იგი დათანხმდა ფსიქიატრთან შეხვედრას იმ პირობით, რომ მოხდებოდა ფსიქიატრთან დიალოგის ჩანაწერის გაკეთება, ახ ამ შეხვედრას დაესწრებოდა მისი ადვოკატი, რაც უნდა გამხდარიყო გარანტია იმისათვის, რომ შეხვედრის შინაარსი განზრახ არ შეეცვალათ და დაემახინჯებინათ, როგორც ეს ადრე მომხდარა.

147. მიუხედავად იმისა, რომ მესინას საქმეში განმცხადებელი უფრო დიდი ხნის განმავლობაში იმყოფებოდა განსაკუთრებულ რეჟიმში, განმცხადებლის შემთხვევაში მკაცრ რეჟიმს გაცილებით უფრო მძიმე შედეგები ჰქონდა ამასთან, მესინას საქმეში განმცხადებელს ჰქონდა სხვა პაციენტთან და ოჯახის წევრებთან კონტაქტის შესაძლებლობა და იგი არ გამხდარა არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი.

## ბ. დასაშვებობა

148. სასამართლომ, პირველ რიგში, უნდა განიხილოს მთავრობის წინასწარი პრეტენზიები განმცხადებლის მე-3 მუხლის დარღვევის მსხვერპლად აღიარებასთან დაკავშირებით, მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ განმცხადებლისათვის ექვსი წლიდან სამ წლამდე და ექვს თვემდე პატიმრობის ვადის შემცირებასთან კავშირში

149. სასამართლოს მიერ წამოყალიბებული პრეცედენტული სამართლის თანახმად, განმცხადებლისათვის მსხვერპლის სტატუსის მინიჭების საკითხი შეიძლება დამოკიდებული იყოს მთავრობის მიერ გადახდილ კომპენსაციაზე და კონვენციის დარღვევის აღიარებაზე მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ორივე პირობა დაკმაყოფილდება, შეიძლება ევროპულმა სასამართლომ არ აღიაროს განმცხადებელი მსხვერპლად სუბსიდიურობის პრინციპიდან გამომდინარე (რიეპლი ავსტრიის წინააღმდეგ). სასამართლო აღიარებს, რომ პატიმრობის ვადის შემცირება ამ შემთხვევაში შეიძლება წარმოადგენდეს კომპენსაციას (ეკლე გერმანიის წინააღმდეგ)

150 მთავრობის მხრიდან სწორად იქნა მინიშნებული მართლმსაჯულების სასამართლოს 2003 წლის 14 აპრილის გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც, „მართლმსაჯულების სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებელი დღევანდელ დღემდე იმყოფებოდა განსაკუთრებით მძიმე რეჟიმის პირობებში. განმცხადებლის სადამსჯელო საკანში ხანგრძლივმა პატიმრობამ, რომელიც პრაქტიკულად დაიწყო სასჯელის ადრეულ სტადიაზე, თავის მხრივ, განაპირობა მსჯავრდებულის ნეგატიური რეაქციები, რამაც კულმინაციას მიაღწია ბ-ნ ვოკინგზე თავდასხმის დროს თუმცა, აქვე გაგებით უნდა მოვეკიდოთ ციხის აღმინისტრაციის გადაწყვეტილებას განმცხადებლის მკაცრ რეჟიმში დატოვების თაობაზე. სასამართლო აქვე აღიარებს განსაკუთრებული რეჟიმის ნეგატიურ ეფექტს. გამომდინარე შემოთქმულიდან, სასამართლო მიიჩნევს, რომ პატიმრობის ვადა უნდა შემცირდეს“.

სასამართლო მიიხსენებს, რომ ხუთი წლიდან სამ წელსა და ექვს თვემდე პატიმრობის ვადის შემცირება გასათვალისწინებელი ფაქტორია

151 თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ეროვნული სასამართლოს გადაწყვეტილებით არ მომხდარა იმის აღიარება, რომ პატიმრობის პირობები, რომელშიც განმცხადებელი იმყოფებოდა, ეწინააღმდეგებოდა კონვენციის მე-3 მუხლს. შესაბამისად, მართლმსაჯულების სასამართლოს არ დაურღვევია კონვენციის მე-3 მუხლი

152 ზემოთქმულიდან გამომდინარე, მთავრობის წინასწარი არგუმენტაცია საქმის დაუშვებლად ცნობასთან დაკავშირებით, უარყოფილ უნდა იქნეს.

153 სასამართლო მიიხსენებს, რომ მსარეთა მიერ წარმოდგენილი არგუმენტები და ინფორმაცია, წამოჭრის კონვენციის სამართლის სერიოზულ საკითხებს, შესაბამისად, აუცილებელია საქმის არსებითი განხილვა. საქმე დასაშვებლად უნდა იქნეს ცნობილი კონვენციის 35.3 მუხლის შესაბამისად.

## **გ. ფაქტობრივი გარემოებების დადგენა**

### **1. სასამართლოს ზოგადი მიდგომა**

154. არასათანადო მოპერობის ნებისმიერი განაცხადი გამყარებული უნდა იყოს ფაქტებით (მამატკულოვი და ასკაროვი თურქეთის წინააღმდეგ).

155. სასამართლო განსაკუთრებული სიფრთხილით იყენებს მისთვის მინიჭებულ სუბსიდიურ როლს, თუმცა, როდესაც საქმე ეხება კონვენციის მე-3 მუხლის შესაძლო დარღვევას, იგი ფაქტებს განსაკუთრებული გულისხმიერებით სწავლობს, ისეთ შემთხვევებშიც კი, როდესაც ეროვნულ დონეზე უკვე ჩატარებულია გამოძიება (აკტასი თურქეთის წინააღმდეგ).

156. მტკიცებულებათა შეფასებისას სასამართლომ შეიმუშავა სტანდარტი „გონივრულ ეჭვს მიღმა“. სასამართლოს როლს არ წარმოადგენს სისხლის ან სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობის განსაზღვრა და იგი შემოიფარგლება კონვენციის მიმართ სასელმწიფოების მიერ ნაკისრი ვალდებულებების ზედამხედველობით, რაც გამომდინარეობს კონვენციის მე-19 მუხლიდან. სასამართლოს მიერ სამართალწარმოებისას არ არსებობს დაშვებადობის პროცედურული ბარიერები ან მტკიცებულებათა წინასწარგანსაზღვრული ფორმულარები. ჩამოყალიბებული პრეცედენტული სამართლის თანახმად, სასამართლო აღიარებულ ფაქტად მიიხსენებს ნათელ და თანმიმდევრულ მსჯელობათა თანხვედრას (ნაჩოვა და სხვები ბულგარეთის წინააღმდეგ).

157 აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლო არ თვლის საჭიროდ განმცხადებლის მიერ 2001 წლის 29 ნოემბერის მოვლენებთან დაკავშირებით მიცემული განმარტებების გადამოწმებას. განმცხადებელი მსჯავრდებულ იქნა აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, რაზეც მან სასამართლოში წარმოადგინა დამოუკიდებელი განაცხადი (№43805/04). სასამართლოს გადაწყვეტილება მოცემულ საქმეზე არ არის დამოკიდებული მეორე განაცხადის ბეგზე.

## **2. სადავო დოკუმენტები**

### **ა) ფოტოები**

158. მთავრობის განცხადებით, მეთიუს მიერ წარმოდგენილი ფოტოები ყალბია და გაკეთდა ციხის მოსყიდულ მეშაკთან თანამშრომლობით (იხ. ზემოთ §121).

159. სასამართლო არ აპირებს გაარკვიოს, თუ საიდან აქვთ განმცხადებელს ან მის მეუღლეს წარმოდგენილი ფოტოები. სანაცვლოდ, მისი მიზანია გაარკვიოს, თუ რამდენად ასახავს წარმოდგენილი ფოტოები სინამდვილეს.

160. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს განმცხადებლის სახეზე არსებულ სისხლნაქცევებს, რომლებიც აღნიშნება ერთ სურათზე და არ არის აღნიშნული მეორე სურათზე.

161. არც ერთ სურათზე სასამართლოს არ უნახავს ნაიარევის კვალი, რომელიც ასხნიდა ერთ-ერთ სურათზე ასახულ სისხლის ლაქებს.

162. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ განმცხადებლის თავის არეში არსებული სისხლნაქცევები არ შეესაბამება იმ ზიანს, რომელიც განმცხადებელს 2003 წლის 13 თებერვლამდე მიუყენა. ამ დღეს განმცხადებელმა ციხის თანამშრომელს, რომელიც ცდილობდა საკანში მის ძალით დაბრუნებას, თავი წაარტყა, რის გამოც მას თავი დაუზიანდა და თერთმეტი ნაკერი ღაადუს. ფოტოზე კარგად ჩანს განმცხადებლის თავი, თუმცა ჭრილობა მასზე არ შეიმჩნევა.

163. შესაბამისად, ჩნდება კითხვები იმასთან დაკავშირებით, არის თუ არა ფოტოზე გამოსახული სისხლის ლაქები განმცხადებლის ან საერთოდ არის თუ არა ის სისხლი.

164. მეორე ფოტოზე, რომელიც ინტერნეტში გამოქვეყნდა, განმცხადებლის სისხლიანი მუხლებია ასახული.

165. უდავოა, რომ აღნიშნულ ფოტოზე გამოსახული დაზიანება ნამდვილია, თუმცა მთავრობამ წარმოადგინა ახსნა-განმარტება დაზიანების წარმოშობასთან დაკავშირებით.

ბ) ოფიციალური მოხსენებები

166. განმცხადებელმა ექვქვეშ დააყენა მთავრობის მიერ წარმოდგენილი არაერთი მოხსენების ნამდვილობა. აღნიშნული მოხსენებები ეხებოდა განმცხადებლის მიერ დისციპლინის დარღვევას და ძალადობას. მან ასევე უარყო დამოუკიდებლად აზიდვების გაკეთებისა და საშხაპეში გასულის შესაძლებლობა.

167. სასამართლოს უჭირს ცალსახად მიიღოს ციხის დირექტორის სუბორდინაციის ქვეშ მიყოფი პერსონალის მიერ გაკეთებული ჩვენებები, რომელიც უარყო განმცხადებელმა.

168. რაც შეეხება დოკუმენტებს, რომლებიც განმცხადებლის არსათანადო ქცევას ეხება, მხოლოდ რამდენიმე მათგანი, განმცხადებლის მეგობარი პატიმრების მიერ დაწერილი, ემთხვევა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ სცენარს. სასამართლოს არ შეუძლია წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე უარყოს მთავრობის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების ნამდვილობა.

169. ოფიციალური მოხსენებები, რომლებშიც მოცემულია ინფორმაცია განმცხადებლის მიერ დაზარების გარეშე შსაპის მიღების შესახებ, კავშირშია მეთიუს ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე არსებულ ინფორმაციასთან, რაც ქვემოთაა განხილული.

### 3. სამედიცინო ინფორმაცია

170. სასამართლოს ხელთ აქვს სანდო ინფორმაცია განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ, რომლის მიხედვითაც, მას ესაჭიროება ფიზიოთერაპია. ყველაზე ადრეული ინფორმაცია, რომელიც აქვს სასამართლოს, თარიღდება 2002 წლის ივნისით. არუბას ნეიროქირურგის მიერ ქირურგიული ჩარევის აუცილებლობის შესახებ აღნიშნულ იქნა 2003 წლის ივნისში.

171. განმცხადებელი საპატიმროდან განთავისუფლდა 2004 წლის 30 ივნისს. მას შემდეგ იგი ცხოვრობს და მკურნალობას გადის ამერიკის შეერთებულ შტატებში. სასამართლოს ინფორმაციით მეთიუს ოპერაცია არ გაუკეთებია. ამასთან, არც ერთ ექიმს მისთვის ოპერაციის გაკეთება არ დაუნიშნავს.

172. სასამართლო აღიარებს, რომ 2002 წლის ივნისში, შეიძლება მანამდეც განმცხადებელს აწესებდა დისკოზი, რომელიც გადაადგილებაში უშლიდა ხელს, თუმცა სასამართლოს არ დაუდგენია, რომ განმცხადებელს გადაადგილება არ შეეძლო. სასამართლოსათვის არც ის არის ცნობილი, რომ განმცხადებლის მდგომარეობა გაუარესდა რაიმე სახის ძალადობრივი შემოქმედების შედეგად.

#### 4. ინფორმაცია განმცხადებლის ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ

173 რამდენადაც სასამართლოსათვის არის ცნობილი, განმცხადებელი არ დაქვემდებარებია რაიმე სახის ფსიქოლოგიურ ან ფსიქიატრიულ შემოწმებას. შესაბამისად, სასამართლო, მის ხელთ არსებული ინფორმაციის საფუძველზე, თავად გააკეთებს დასკვნას განმცხადებლის ფსიქოლოგიური მდგომარეობის შესახებ.

174. განმცხადებლის ქცევისათვის დამახასიათებელია ციხის რეჟიმისა და პირობებისადმი შეუვსებლობა. ნათელია, რომ პატიმრობის პირობებში განმცხადებელი გაღიზიანებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. სასამართლოსათვის უცნობია აღნიშნულის ზუსტი მიზეზი

#### გ. არსებითი მხარე

##### 1. გამოსაყენებელი პრინციპები

175. სასამართლოს მიერ მოცემულ სიტუაციებში გამოსაყენებელი პრინციპები ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად (იხ. მაგ.-კალაშნიკოვი რუსეთის წინააღმდეგ). სასამართლო აღნიშნავს, რომ მესამე მუხლი თავის თავში მოიცავს დემოკრატიული საზოგადოებისათვის დამახასიათებელ ერთ-ერთ ყველაზე უფრო ფუნდამენტურ ღირებულებებს. იგი აბსოლუტური გაკებით კრძალავს წამებას, არაადამიანურ მოპყრობას და დასჯას მიუხედავად გარემოებებისა და მსხვერპლის ქცევისა. სასამართლო დამატებით აღნიშნავს, რომ მისი პრეცედენტული პრაქტიკის თანახმად, მოპყრობამ იმისათვის, რომ იგი მოხვედეს მესამე მუხლით დაცული სფეროს ქვეშ, აუცილებელია მიაღწიოს სისასტიკის მინიმალურ ზღვარს. აღნიშნული მინიმუმის განსაზღვრა ფარდობითია და დამოკიდებულია საქმის კონკრეტულ გარემოებებზე. ისეთი როგორცაა: მოპყრობის ხანგრძლივობა, მისი ფიზიკური და სულიერი შედეგები, ზოგ საქმეებში სქესი, ასაკი და მსხვერპლის ჯანმრთელობის მდგომარეობა. სასამართლომ მოპყრობა მიიხსია „არაადამიანურად“ იმ შემთხვევაში, როცა იგი იყო წინასწარ განზრახული, გამოიყენებოდა საათების განმავლობაში და შედეგად ახლდა სხეულებრივი დაზიანება ან ინტენსიური ფიზიკური ან სულიერი ტანჯვა მან მოპყრობა მიიხსია „დამამცირებლად“ იმ შემთხვევებში, რომელსაც თან ახლდა მსხვერპლში შიშის, დამცირებისა და გაურკვევლობის გამოწვევა (იხილეთ მაგალითად, კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ, §92). საკითხის განსაზღვრისას, წარმოადგენს თუ არა მოპყრობა „დამამცირებელს“ მე-3 მუხლის მიზნებისათვის, სასამართლო მსჯელობაში იღებს, წარმოადგენდა თუ არა მოპყრობის მიზანს ადამიანის შეურაცხყოფა და დამცირება შედეგის თვალსაზრისით, ახდენს თუ არა მოპყრობა მსხვერპლზე ისეთ ზეგავლენას, რომელიც შეესაბამება მე-3 მუხლის მიზნებთან (იხილეთ, მაგალითად, რანინენი ფინეთის წინააღმდეგ, 1997 წლის 16 დეკემბრის გადაწყვეტილება §55), თუმცა ასეთი განზრახვის არარსებობა არ ნიშნავს, რომ არ დადგინდება მესამე მუხლის დარღვევა (იხილეთ, მაგალითად, პირსი საბერძნეთის წინააღმდეგ, §74). ტყვილი და დამცირება ყველა შემთხვევაში უნდა სცდებოდეს მოპყრობის ან დასჯის კანონიერ მიზნებს. ზომები, რომლებიც თან ახლავს თავისუფლების აღკვეთას, თავისთავად შეიძლება მოიცავდეს ასეთ ელემენტებს, თუმცა არ შეიძლება ითქვას, რომ მაგალითად, წინასწარ პატიმრობაში პირის მთავსება თავისთავად წარმოშობს მესამე მუხლის შესაძლო დარღვევის საკითხს. არ შეიძლება მესამე მუხლი განიმარტოს იმგვარად, თითქოს მისგან გამომდინარეობდეს ჯანმრთელობის საფუძველზე წინასწარ პატიმრობაში მყოფი დაავადებული პირის გათავისუფლების ზოგადი ვალდებულება, ან სამოქალაქო საავადმყოფოში სპეციფიკური მკურნალობის ვალდებულება. მიუხედავად ამისა, მოცემული დებულების შესაბამისად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს

პირის დაკავება ისეთ პირობებში, რომელიც ზიანს არ მიაყენებს მის ადამიანურ ღირსებას და მთავრობის შეთანხმებული და მანერა არ იქნება ტკივილის გამომწვევი, ასევე მისი ჯანმრთელობის შენარსუნებას უნდა მიექცეს სათანადო ყურადღება. პატიმრობის პირობების შეფასებისას ყურადღება უნდა მიექცეს იმ კუმულაციურ ეფექტს, რომელიც პატიმრობას აქვს ადამიანზე, ასევე განმცხადებლის მიერ გამოთქმულ სპეციფიკურ პრეტენზიებს”

## **2. ფიზიკური ძალისა და შემზღუდავი ზომების გამოყენება განმცხადებლის წინააღმდეგ**

### **ა) ფიზიკური ძალა**

176. სასამართლო დამტკიცებულად მიიხსენებს, რომ განმცხადებლის წინააღმდეგ არაერთხელ იქნა გამოყენებული ფიზიკური ძალა.

177. თავისუფლებადაკვეთლი პირის წინააღმდეგ ისეთი ფიზიკური ძალის გამოყენება, რომელიც მისი ქცევით არ იყო განპირობებული, წარმოადგენს ადამიანის ღირსების დამამცირებელ ქმედებას (იხ., მაგ., რიბინი ავსტრიის წინააღმდეგ, კინანი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ).

178. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, განმცხადებელმა სასამართლოს ვერ წარმოუდგინა დამაჯერებელი ახსნა-განმარტება, რომელიც უარყოფდა მთავრობის მიერ წარმოდგენილ ფაქტობრივ ვერსიებს.

179. შესაბამისად, სასამართლოს არ შეუძლია დაადგინოს, რომ განმცხადებლის წინააღმდეგ მისი ძალადობრივი გამოსვლების აღსაკვეთად გამოყენებული ძალა გასცდა აუცილებლობის ზღვარს.

### **ბ. ბორკილების გამოყენების შედეგად მიყენებული დაზიანებები**

180. ხელბორკილების გამოყენება, როდესაც იგი კანონიერ დაკავებას ახლავს თან, არ წარმოშობს მე-3 მუხლის დარღვევის საკითხს. ამასთან მნიშვნელოვანია გათვალისწინებულ იქნეს ის საფრთხე, რომელიც პირმა შეიძლება შეუქმნას როგორც გარშემომყოფებს, ასევე საკუთარ თავს (იხ., რანინენი ფინეთის წინააღმდეგ, ჰენაფი საფრანგეთის წინააღმდეგ).

181. განმცხადებლის პრეტენზია არ შეხება ხელბორკილების გამოყენების საკითხს, როგორც ასეთს. სანაცვლოდ, განმცხადებლის პრეტენზიები შეეხება იმ დაზიანებებს, რომლებიც მას ბორკილების გამოყენების შედეგად მიეყენა.

182. თავის მხრივ, მთავრობამ განაცხადა, რომ განმცხადებლისათვის მიყენებული დაზიანებები სინამდვილეში თვითდაზიანებას წარმოადგენდა.

183. განმცხადებელმა სასამართლოს ვერ წარმოუდგინა დამაჯერებელი არგუმენტაცია ბორკილების გამოყენებასა და მიყენებულ დაზიანებებთან მიმართებით. ამ პირობებში სასამართლოს არ შეუძლია აღნიშნულთან დაკავშირებით დაადგინოს მე-3 მუხლის დარღვევა.

### **გ. დასკვნა**

184. სასამართლო არ ადგენს მე-3 მუხლის დარღვევას, ფიზიკური ძალის გამოყენებასა და ხელბორკილების გამოყენების შედეგად მიყენებულ დაზიანებებს შორის.

### 3. სამედიცინო მომსახურებაზე უარის თქმის შესაძლებლობის შესახებ

#### ა. ოპერაციის ჩატარებასთან დაკავშირებით გაკეთებული მე-2 დასკვნა

185. 2003 წლის 4 ივლისს არუბას ქირურგმა, ბატონმა ვალეკო ლოპესმა, მიიხსია, რომ საჭირო იყო ოპერაციის გაკეთება, თუმცა მისი გადაწყვეტილებით, განმცხადებელი მეორე ექიმსაც უნდა შეემოწმებინა. ციხის ადმინისტრაციამ განმცხადებელს განუმარტა, რომ მას შეეძლო ესარგებლა ნებისმიერი ექიმის მომსახურებით მხოლოდ ერთი პირობით, რომ აღნიშნული ექიმი დარეგისტრირებული უნდა ყოფილიყო არუბას კანონმდებლობის თანახმად.

186. როგორც ზემოთ აღინიშნა, პატიმრის ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა ციხის ადმინისტრაციის უპირობო მოვალეობას წარმოადგენს. თუმცა მე-3 მუხლი არ შეიძლება ინტერპრეტირდეს იმგვარად, რომ ციხის ადმინისტრაცია დაკავლებულ იქნეს პატიმარს აღმოუჩინოს ყველანაირი სამედიცინო დახმარება, რომელსაც ის მოითხოვს.

187. ისეთი სამედიცინო ექსპერტის მიერ შემოწმება, რომელსაც კავშირი არა აქვს ციხის ადმინისტრაციასთან, მნიშვნელოვან გარანტიას წარმოადგენს დაკავებული პირის ინტერესების დასაცავად. ერთადერთი შეზღუდვა, რომელიც შეიძლება დაწესდეს აღნიშნულ უფლებასთან დაკავშირებით, შეიძლება მდგომარეობდეს სამედიცინო მომსახურების საფასურის გადახდის დაწესებაში. ალტერნატიული ექიმისათვის ლიცენზიის ფლობის დაწესების აუცილებლობა არ ეწინააღმდეგება მე-3 მუხლს.

188. ექიმი ვალეკო ლოპესის მიერ განსაზღვრული დანიშნულების შესაბამისად, განმცხადებელი უნდა შეემოწმებინა ნეეროლოგს, რომელიც პერიოდულად სტუმრობდა არუბას კუნძულს. საქმიდან ჩანს, რომ აღნიშნული არ მომხდარა. ისევე როგორც, არ გაკეთებულა ახსნა-განმარტება იმასთან დაკავშირებით თუ რატომ არ შემოწმდა განმცხადებელი მეორე ექიმის მიერ.

189. მისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე სასამართლოს უჭირს ახსნას, თუ რატომ არ მომხდარა განმცხადებლის შემოწმება მეორე ექიმის მიერ.

#### ბ. ინვალიდის სავარძელი

190. განმცხადებელს ინვალიდის სავარძელი მიუტანეს 2002 წლის 12 აგვისტოს. ოფიციალური მოხსენების თანახმად, რომლის ნამდვილობაც კითხვის ნიშნის ქვეშ არ დგას, განმცხადებელმა დააზიანა სავარძელი, რის შემდეგ სავარძლის ნაწილები გამოყენებულ იქნა როგორც იარაღი ციხის თანამშრომელთა წინააღმდეგ (იხ. ზემოთ §66). აღნიშნული ინციდენტის შემდეგ განმცხადებელს სავარძელი ჩამოერთვა. მეოთხეს მეუღლის მიერ შეთავაზებულ იქნა სავარძლის ჩანაცვლება, რაც ციხის ადმინისტრაციამ არ მიიღო.

191. სასამართლო მისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე მიიჩნევს, რომ განმცხადებელს სავარძლით სარგებლობა აკერძალა უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე აღნიშნულის საფუძველზე სასამართლო აღგენს, რომ ადგილობრივმა ხელისუფლებამ დასაბუთებულად მიიღო გადაწყვეტილება ინვალიდის სავარძლის ჩამორთმევის თაობაზე.

#### გ. ფიზიოთერაპია

192. განმცხადებელი ფიზიოთერაპიის კურსს გადიოდა საავადმყოფოში 2003 წლის 23 მაისიდან 13 ივნისამდე, რის შემდეგაც იგი დაბრუნებულ იქნა ციხეში. გვერდის მიხედვით ფიზიოთერაპიის კურსი მას უნდა გაეგრძელებინა ციხეში დაბრუნების შემდეგაც, თუმცა როგორც განმცხადებელმა აღნიშნა, საავადმყოფოში გადაყვანის დროს მას დამოუკიდებლად



არ შეეძლო საკნიდან მანქანამდე მისვლა. მისთვის ასევე პრობლემას წარმოადგენდა მანქანაში ჯდომა.

193. პატიმართა მკურნალობა ჩვეულებრივ საავადმყოფოებში, ციხის საავადმყოფოების ნაცვლად, იძლევა გარანტიას იმისათვის, რომ თავისუფლებადაკვეთილი პირები მიიღებენ იმავე ხარისხის სამედიცინო მომსახურებას, როგორსაც საზოგადოების დანარჩენი ნაწილი. თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, სასამართლომ უნდა შეაფასოს, რამდენად იყო საკმარისი ციხის ადმინისტრაციის მიერ გაწეული სამედიცინო მომსახურება.

194. სასამართლო აღიარებს, რომ ტრანსპორტირების შედეგად გამოწვეული ტკივილის გამო განმცხადებლისათვის უმჯობესი იყო, ფიზიოთერაპევტი თვითონ მისუფიყო ციხეში. თუმცა სასამართლოს მიაჩნია, რომ განმცხადებლის მდგომარეობიდან გამომდინარე, აღნიშნული არ იყო აუცილებელი.

195. აღნიშნულ დასკვნამდე სასამართლო მივიდა იმ ოფიციალურ მონაცემებზე დაყრდნობით, რომლის მიხედვითაც განმცხადებელმა გამოაქვინა დიდი ფიზიკური წინააღმდეგობა, მაგალითად, 2003 წლის 13 თებერვალს მომხდარი ინციდენტის დროს. როდესაც მეთექვსმეტე ინვალიდის სავარძელს რკინის ნაწილი მოამტკვრია. აღნიშნულს ასევე ადასტურებს ბატონი კარტის მიერ ხელმოწერილი 2004 წლის 6 მარტის დასკვნა, სადაც აღნიშნულია, რომ განმცხადებელს, მიუხედავად მკურნალობის არარსებობისა, შეუძლია კომპლექსური ფიზიკური აქტივობების შესრულება, მაგალითად, სხეულის მოხრა, კიბეებზე ასვლა-ჩამოსვლა და სხვისი დახმარების გარეშე სიარული.

#### დ) დასკვნა

196. სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით სასამართლო არ აღგენს კონვენციის მე-3 მუხლის დარღვევას.

### 4. პატიმრობის პირობები

#### ა) პატიმრობის რეჟიმი

197. 2002 წლის 4 იანვარს ციხის დირექტორის მიერ განმცხადებლისათვის მისჯილი პატიმრობის რეჟიმი ითვალისწინებდა სამარტო პატიმრობას სასჯელის ვადის დასრულებამდე.

198. ნათელია, რომ განმცხადებელი ციხის პერსონალთან არ თანამშრომლობდა და გამოირჩეოდა ძალადობრივი ქმედებებით. სასამართლოსათვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე, ციხის ადმინისტრაციისათვის განმცხადებლის კონტროლის ერთადერთ საშუალებას მისი იზოლაცია წარმოადგენდა.

199. სასამართლო აღნიშნავს, რომ პატიმრობის არასათანადო პირობები შეიძლება რიგ შემთხვევებში გაუთანაბრდეს არაადამიანურ ან დამამცირებელ მოპყრობას (დოქტოზი საბერძნეთის წინააღმდეგ). სასამართლო ეთანხმება წსკ-ს იმასთან დაკავშირებით, რომ სამარტო პატიმრობის ვადა უნდა იყოს მაქსიმალურად მოკლე. სასამართლოს ადრე უკვე დაუდგენია, რომ სამარტო პატიმრობას სრულ სოციალურ იზოლაციასთან კავშირში შეუძლია გაანადგუროს პიროვნება და გაუტოლდეს არაადამიანურ მოპყრობას, რომელიც გაუმართლებელია უსაფრთხოების ან სხვა რაიმე მოტივებით. თუმცა უსაფრთხოების მოტივებით სხვა პატიმრებთან კონტაქტის აკრძალვა თავისთავად არ წარმოადგენს არაადამიანურ მოპყრობას ან დასჯას (ოჯალანი თურქეთის წინააღმდეგ).

200. მთავრობამ წინამდებარე საქმე შეადარა საქმეს მესინა იტალიის წინააღმდეგ. უნდა აღინიშნოს, რომ მესინას საქმის მსგავსად, მეთიუ არ იმყოფებოდა ტოტალურ სოციალურ იზოლაციაში, რაც მესინას საქმესთან შედარებით ნაკლებ ხანს გრძელდებოდა.

201. მიუხედავად ზემოთქმულისა, წინამდებარე საქმე განსხვავდება მესინას საქმისაგან იმით, რომ აღნიშნულ საქმეში განმცხადებელი უკვე იყო მსჯავრდებული ძალზე მძიმე დანაშაულების ჩადენაში. კერძოდ, ორგანიზებულ დანაშაულებებში სამართლო პატიმრობის ფორმით მესინას იზოლაცია ეფუძნებოდა იმ არგუმენტს, რომ მას კავშირი არ უნდა დაეჭვებინა სხვა მსჯავრდებულებთან, რათა ადგილი არ ჰქონოდა ორგანიზებული დანაშაულის ჩადენის მცდელობას. სასამართლოს მიაჩნია, რომ აღნიშნული მიზეზით სამართლო პატიმრობა შეიძლება გამართლებულ იქნეს. სასამართლომ მესინას საქმეში მხედველობაში მიიღო განმცხადებლის ჯანმრთელობის მდგომარეობაც, რომელსაც არ აწუხებდა ფიზიკური და ფსიქოლოგიური პრობლემები, ასევე ციხის ადმინისტრაციის აქტიური მცდელობა, მოესდინა მკაცრი რეჟიმით გამოწვეული ნეგატიური ეფექტის მინიმალიზება.

202. ზემოთ აღნიშნულის საპირისპიროდ, მეთოუ სამართლო პატიმრობაში იმყოფებოდა არა ორგანიზებული დანაშაულის გამო, არამედ იმის გამო, რომ ვერ ეგუებოდა საპატიმროს და იქცეოდა აგრესიულად. შესაბამისად, ციხის ადმინისტრაციის მიერ რეჟიმის შესაძლებლობად მიღებული ზომები არაეფექტური იყო.

203. არუბას ციხის ადმინისტრაციისათვის ცნობილი იყო, რომ მკაცრ რეჟიმს ჰქონდა ნეგატიური გავლენა განმცხადებლის ჯანმრთელობაზე, რაც დასტურდება 2002 წლის 26 მარტს საზედამხედველო საბჭოს, 2003 წლის 2 სექტემბერს და 14 აპრილს მართლმსაჯულების სასამართლოს მიმართ მიწერილი წერილებით. მაშინ, როდესაც გარკვეული ზომები იქნა მიღებული, განსაკუთრებით მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ, სასამართლოს მიაჩნია, რომ მთავრობას შეეძლო, და უნდა გაეკეთებინა კიდევ უფრო მეტი.

204. სასამართლო აღიარებს, რომ განმცხადებლის მდგომარეობაში მყოფი პატიმრის შესაბამისი პირობების მქონე ციხე არუბაში არ არსებობს და ასეთი მხოლოდ ახლა შენდება. თუმცა კონვენციიდან გამომდინარე, პასუხისმგებელია არა არუბა, არამედ ნიდერლანდების გაერთიანებული სამეფო. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ მოპასუხე სახელმწიფოს არ მიუღია არავითარი ზომა, განმცხადებლისათვის სათანადო პირობების მქონე საპატიმროში გადასაყვანად.

205. სასამართლო ადგენს, რომ განმცხადებელი დაექვემდებარა მოპყრობას, რომელიც სცდება კონვენციით განსაზღვრულ მინიმალურ ზღვარს. შესაბამისად, განმცხადებელი დაექვემდებარა არაადამიანურ მოპყრობას.

## **ბ) საზედამხედველო საკანი**

### **I. სანიტარული პირობები**

206. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ საზედამხედველო საკანში მისი ყოფნის პერიოდში იყო ანტისანიტარია და ცუდი სუნი ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო მას არ შეეძლო საკუთარი საკნის დალაგება, ამ კუთხით ციხის ადმინისტრაციის მიერ მიღებული ზომები კი, არასათანადო იყო.

207. მთავრობამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა განმცხადებლის უუნარობა საკნის დალაგებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მას ციხის ადმინისტრაციამ აღმოუჩინა დახმარება.

208. სასამართლოსათვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე არ არსებობს ვარაუდის საფუძველი იმასთან დაკავშირებით, რომ განმცხადებელს არ შეეძლო საკუთარი ხელით საკნის დალაგება. მეთოუ ასევე აღიარებს, რომ მის საკანს, ადმინისტრაციის ხარჯზე ალაგებდა სხვა პატიმარი. შესაბამისად, განმცხადებლის საკნის უსუფთაობა არ არის ციხის ადმინისტრაციის ბრალი.

## II. სახელმძღვანელო საკანში არსებული მდგომარეობა და რემონტი

209. მთავრობამ აღნიშნა და განმცხადებელიც დაეთანხმა, რომ სახელმძღვანელო საკანი არ შეესაბამებოდა მინიმალურ მოთხოვნებს.

210. განმცხადებლის დაპატიმრებიდან 2002 წლის ოქტომბრამდე, განმცხადებლის საკნის სახურავში წვიმა უნახვია.

211. სახელმძღვანელო საკანი მდებარეობდა ციხის მეორე სართულზე. აქედან გამომდინარე, საკნის სახურავი დღის განმავლობაში იმყოფებოდა მსურველ მზის ქვეშ. მეოთხე კერიოდულად იძლეოდნენ ყინულიან წყალს, თუმცა საკანში არ არსებობდა კონდიციონერის სისტემა.

212. საპატიმროში არ არსებობდა ღიფტი და განმცხადებელს საკნამდე მისვლა მხოლოდ ორი კიბის გავლის შემდეგ შეეძლო.

213. სასამართლომ უკვე წარაერთხელ დაადგინა მე-3 მუხლის დარღვევა არასათანადო პირობებისა და სუფთა ჰაერზე გასეირნების შესაძლებლობის არარსებობის გამო (პოლტორაკი უკრაინის წინააღმდეგ).

214. სასამართლოს მიუღებლად მიაჩნია თავისუფლებააღკვეთილი პირების უკიდურესად მაღალი ან დაბალი ტემპერატურისაგან დაუცველობა.

215. მისთვის ხელმისაწვდომი ინფორმაციის საფუძველზე სასამართლო მიიჩნევს, რომ განმცხადებლისათვის განსაკუთრებულ სიძნელეს წარმოადგენდა გასეირნების დროს კიბეზე სიარული. აღნიშნულიდან გამომდინარე გასაგებია, რომ განმცხადებელს ერჩია აუტანელი ტკივილის სანაცვლოდ, რომელიც თან ახლდა კიბეებზე ჩასვლას, უარი ეთქვა სუფთა ჰაერზე გასეირნებაზე. მთავრობა ვადადებული იყო მიეღო შესაბამისი ზომები აღნიშნულის თავიდან ასარიდებლად. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ციხის ადმინისტრაციისათვის ეს პრობლემა წარმოადგენდა, რადგან ციხეში არ არსებობდა ღიფტი და პირველ სართულზე არ არსებობდა შესაფერისი საკანი. თუმცა, სასამართლოს აზრით, მთავრობას უნდა ემსჯელა განმცხადებლის ნიდერლანდებში გადაყვანის შესაძლებლობაზეც.

216. სასამართლო არ მიიჩნევს, რომ მთავრობას განსრახული ჰქონდა განმცხადებლის დამცირება. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, განსრახვის არარსებობა არ გამორიცხავს მე-3 მუხლის დარღვევის შესაძლებლობას. სასამართლო მიიჩნევს, რომ პატიმრობის პირობებმა გამოიწვია განმცხადებლის ფიზიკური და ფსიქოლოგიური ტანჯვა. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა განმცხადებლის მიმართ არაადამიანურ მოპყრობას.

### გ) დასკვნა

217. განმცხადებლის სამართლო პატიმრობის პირობებში ხანგრძლივი დროით პატიმრობამ, სუფთა ჰაერზე გასვლის შესაძლებლობის არარსებობამ განმცხადებელს მიაყენა ტანჯვა, შესაბამისად, დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი. საკანში არსებული სანიტარული პირობებიდან გამომდინარე მე-3 მუხლი არ დარღვეულა.

## III. კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

102. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად, „თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს“.

218 განმცხადებელმა წარმოადგინა მოთხოვნები მიყენებულ მატერიალურ და არამატერიალურ ზიანთან დაკავშირებით.

#### **ა. მატერიალური ზიანი**

219 განმცხადებელმა მოითხოვა 9825 ამერიკული დოლარი წელის მკურნალობისას გაწეული სამედიცინო ხარჯებისათვის.

220. განმცხადებელმა ასევე მოითხოვა მიყენებული ბიზნესდანაკარგების ანაზღაურებაც, რომელიც გამოწვეული იყო გარე სამყაროსთან სრული იზოლაციით. მის მიერ დაფიქსირდა მობილური ქსელის კომპანია, რომელმაც 2003 წელს კონკურსში მონაწილეობის შედეგად გამოსცა დაკარგა ლიცენზია. რესტორანმა და უსაფრთხოების კომპანიამ, რომელსაც განმცხადებელი ფლობდა, დაკარგა კონკურენტუნარიანობა. შედეგად, განმცხადებელს მიაღება მილიონობით არუბული ფლორინის ზარალი.

221. მთავრობის აზრით, განმცხადებელს შეუძლო დაეყენებინა მხოლოდ სამედიცინო ხარჯების ანაზღაურების მოთხოვნა.

222. სასამართლოს მიერ მე-3 მუხლის დარღვევა უკავშირდება მხოლოდ პატიმრობის ცალკეულ ასპექტებს. ის არ უკავშირდება სახელმწიფოს პასუხისმგებლობას სამედიცინო მომსახურების თაობაზე. შესაბამისად, არ შეიძლება სახელმწიფოს დაეკისროს სამედიცინო ხარჯების ანაზღაურება, გამომდინარე კონვენციის 41-ე მუხლიდან. სასამართლო ეჭვქვეშ არ აყენებს განმცხადებლის დაკავების კანონიერებას. შესაბამისად, იგი არ განიხილავს განმცხადებლის პრეტენზიებს მისთვის მიყენებულ შესაძლო ბიზნესდანაკარგებთან დაკავშირებით.

223. გამომდინარე იქიდან, რომ სასამართლომ არ დაადგინა კავშირი განმცხადებლისადმი მიყენებულ ზიანსა და კონვენციის დარღვევის საფუძვლებს შორის, განმცხადებლის მოთხოვნები მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ არ უნდა დაკმაყოფილდეს.

#### **ბ. მორალური ზიანი**

224. განმცხადებელმა მოითხოვა 500 000 ამერიკული დოლარი მისთვის მიყენებული მორალური ზიანისათვის, რომელიც გამოწვეული იყო არასათანადო მოპყრობით, სამედიცინო მომსახურებით და ხანგრძლივი იზოლაციით.

225. მთავრობამ სასამართლოს სთხოვა მხედველობაში მიეღო მართლმსაჯულების სასამართლოს მიერ განმცხადებლის პატიმრობის ვადის შემცირების ფაქტი.

226. სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ ფაქტზე, რომ მან კონვენციის დარღვევა დაადგინა ხანგრძლივი იზოლაციისა და საკანში არსებულ პირობებთან მიმართებით. მას დარღვევა არ დაუდგენია წამებასთან ან სამედიცინო მომსახურებასთან დაკავშირებით.

227. მიუხედავად იმისა, რომ პატიმრობის შემცირება განმცხადებელს არ ართმევს „მსხვერპლის“ სტატუსს იგი არის ფაქტორი, რომელიც მორალური ზიანის განსაზღვრისას მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული. უდავოა, რომ მართლმსაჯულების სასამართლოს სახელის შემცირებით სურდა განმცხადებლის კომპენსირება. თუმცა სასამართლოს საჭიროდ მიაჩნია, რომ განმცხადებელს უნდა მიაკუთვნოს კომპენსაცია მიყენებული მორალური ზიანისათვის.

228. სასამართლო, ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, განმცხადებელს აკუთვნებს 10 000 ევროს.

## ბ. გაწეული ხარჯები

229 განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ იქნა შემდეგი დოკუმენტები

- ა) ბატონი ჯ. სერარენსის მიერ 2004 წლის 4 ოქტომბერს გამოწერილი ინვოისი 1500 ევროს ოდენობით, პლუს დამატებითი ღირებულების გადასახადი
- ბ) 2004 წლის 5 აპრილს ქ-ნი სერარენსის მიერ გამოწერილი 910 ევროს ღირებულების ინვოისი, პლუს დამატებითი ღირებულების გადასახადი
- გ) ბატონი სპინგის მიერ 2003 წლის 21 იანვარს გამოწერილი 875 ამერიკული დოლარის ინვოისი
- დ) 2001 წლის 9 ოქტომბერს განხორციელებული 5000 ამერიკული დოლარის საბანკო ტრანსფერის ორდერი
- ე) 2002 წლის 13 მარტით დათარიღებული 3277 98 ანტილიური გილდერის ინვოისი დამატებით 5250 გილდერის ინვოისი
- ვ) არუბაში მოღვაწე იურისტის ბ-ნი კოხის მიერ 2003 წლის 10 ივლისს გამოწერილი 4200 გილდერის ინვოისი.
- ზ) არუბაში მოღვაწე იურისტის ქ-ნი კაროლეს მიერ 2002 წლის 30 იანვარს გამოწერილი 11550 გილდერის ინვოისი.
- თ) მაასტრიხტში მოღვაწე იურისტის ბატონი მოსკოვისის მიერ გამოწერილი 17 000 ამერიკული დოლარის ინვოისი.
- ი) 2003 წლის 28 აპრილით დათარიღებული ამსტერდამული საადვოკატო ფირმის მიერ გამოწერილი 2500 ევროს ინვოისი

230. მთავრობამ განაცხადა, რომ უნდა მომხდარიყო მხოლოდ სტრასბურგში სამართალწარმოებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება. მთავრობამ ყურადღება გაამახვილა იმ ფაქტზეც, რომ განმცხადებელმა უარი განაცხადა ყველა პრეტენზიაზე გარდა მე-3 მუხლთან დაკავშირებული პრეტენზიებისა.

231. სასამართლო აღნიშნავს იმისათვის, რომ მოხდეს ხარჯების კომპენსირება კონვენციის 41-ე მუხლიდან გამომდინარე უნდა დადასტურდეს, რომ მათი გადაება კავშირში იყო კონვენციის შესაბამისი მუხლის დარღვევასთან (ილაშქუ და სხვები მოლდავეთისა და სხვების წინააღმდეგ).

232 წარმოდგენილი ინვოისებიდან მხოლოდ ქ-ნი იანუჩილისა და ბ-ნი კოხის ინვოისები იქნება განსილული, რამდენადაც სხვა ინვოისებთან დაკავშირებით არ არის წარმოდგენილი დეტალები, რომლებიც დაადასტურებდა, რომ ისინი გამოწერილია წინამდებარე საქმესთან დაკავშირებით და არ უკავშირდება განმცხადებლის ბიზნესინტერესებიდან გამომდინარე გაწეულ იურიდიულ ხარჯებს.

233 ყურადღება უნდა გამახვილდეს განმცხადებლის მიერ ყველა იმ პრეტენზიაზე უარის თქმაზე, რომელიც არ უკავშირდება მე-3 მუხლს. აღნიშნული განხორციელდა ქ-ნი სერარენსის მიერ.

234 სასამართლო გაკეთებული გაანგარიშების საფუძველზე განმცხადებელს აკუთვნებს 3000 ევროს მის მიერ გაწეული ხარჯებისათვის.

## დ. საურავი

235 სასამართლო მიიხედავს, რომ საურავი განსაზღვრული უნდა იყოს ევროპის ცენტრალური ბანკის წლიური საშუალო კურსის შესაბამისად, რასაც დაემატება სამი პროცენტი

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო

1. უარყოფს სახელმწიფოს მიერ წარმოდგენილ წინასწარ პრეტენზიებს.
2. აღგენს, რომ განმცხადებელი არის „მსხვერპლი“ კონვენციის 34-ე მუხლიდან გამომდინარე;
3. აცხადებს განაცხადს დასაშვებად;
4. აღგენს, რომ დაირღვა კონვენციის მე-3 მუხლი, გამომდინარე განმცხადებლის ხანგრძლივი სამართლო პატიმრობიდან, რომლის დროსაც განმცხადებელს არ ჰქონდა სუფთა ჰაერზე გასეირნების შესაძლებლობა;
5. აღგენს, რომ არ დარღვეულა კონვენციის მე-3 მუხლი განმცხადებლის სხვა პრეტენზიებთან დაკავშირებით;
6. აღგენს, რომ
  - ა) მოპასუხე სახელმწიფომ განმცხადებელს, კონვენციის 44.2 მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, წინამდებარე გადაწყვეტილების ძალაში შესვლიდან 3 თვის ვადაში უნდა გადაუხადოს შემდეგი:
    - I) 10 000 ევროს ეკვივალენტი ამერიკული დოლარი, გადახდის მომენტში არსებული კურსის შესაბამისად, მიყენებული მორალური ზიანისათვის;
    - II) 3000 ევრო გაწეული ხარჯებისათვის;
    - III) მოცემულ თანხებთან დაკავშირებული ნებისმიერი გადასახადი;
  - ბ) საურავი განსაზღვრული უნდა იყოს ევროპის ცენტრალური ბანკის წლიური საშუალო კურსის შესაბამისად, რასაც დაემატება სამი პროცენტი.
7. უარყოფს განმცხადებლის სხვა პრეტენზიებს სამართლიან ანაზღაურებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე 2005 წლის 29 სექტემბერს, სასამართლოს რეგლამენტის 77.2.3. მუხლის შესაბამისად.

ვინსენტ ბერგერი

ბოშტან ზაპანჩინი

რეგისტრატორი

პრეზიდენტი